პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

ტუროპერატორის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მოდული: ტურიზმის ინდუსტრია

მასწავლებლის გზამკვლევი

2014

მასწავლებლის გზამკვლევი თან ერთვის ტუროპერატორის პროფესიული საკვალიფიკაციო პროგრამის მოდულს ,,ტურიზმის ინდუსტრია.“

გზამკვლევის შესახებ

მოდულის შესწავლის შემდეგ პროფესიული სტუდენტები შეძლებენ განსაზღვრონ ტურიზმის რაობა, ჩამოაყალიბონ ტურიზმის ძირითადი ცნებები და ტურისტული მოგზაურობის ფორმები, განსაზღვრონ ტურისტული რესურსები, ინფრასტრუქტურა და ტურისტული რეგიონები, განასხვავონ ტუროპერატორისა და ტურაგენტის საქმიანობა; დაახასიათონ და ჩამოაყალიბონ ტურიზმის სფეროში არსებული განთავსების საშუალებები, აღწერონ სატრანსპორტო მომსახურების სახეები ტურიზმში, დაახასიათონ გართობის ინდუსტრიის საწარმოები, ანიმაციისა და საექსკურსიო მომსახურების როლი ტურიზმში.

მასწავლებლის გზამკვლევი, ტურიზმის ინდუსტრიის“ მოდულის განმახორციელებელ მასწავლებლებს სთავაზობს რჩევებსა და რეკომენდაციებს მოდულის სწავლებისათვის. გზამკვლევი ეფუძნება პროფესიული განათლების შესაბამის მეთოდოლოგიურ მიდგომებს და მასში რეკომენდებული სწავლების მეთოდები ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების, როგორც პრაქტიკული, ასევე კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებას.

გზამკვლევი ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესის განვითარებაში, მის შინაარსსა და შეფასებაში. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მასწავლებელსა და სტუდენტს ანიჭებს განსხვავებულ ფუნქციებს. ფოკუსი გადადის ,,სწავლებიდან“ ,,სწავლაზე“ და მასწავლებლის ცოდნიდან სტუდენტის გამოცდილებაზე.

აქტიური სწავლების სტილი, პირველ რიგში, უნდა აისახოს სწავლების, შეფასების მეთოდებსა და მასწავლებლის მიერ შემუშავებულ სასწავლო მასალებზე. მოდულური სწავლების პირობებში სასწავლო მასალების განვითარებას ენიჭება ახალი მნიშვნელობა – მასალებმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების მაქსიმალურად დამოუკიდებელ მუშაობას, მეცადინეობაზე კი, სასწავლო მასალებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს სწავლაში სტუდენტების აქტიურ ჩართულობას.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ხელს უწყობს და აღიარებს სტუდენტის ინიციატივას, ახალისებს შეკითხვებს სტუდენტების მხრიდან, აღიარებს გამოცდილების გადამწყვეტ როლს სწავლაში, ხელს უწყობს სტუდენტის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას, ითვალისწინებს სტუდენტის გონებრივ მოდელს, შეფასების პროცესში ხაზს უსვამს შესრულებას და გაცნობიერებას, ახალი ცოდნის განვითარების და გააზრების საშუალებას.

წინამდებარე გზამკვლევს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. მასწავლებელს შეუძლია გზამკვლევს დაამატოს მასალები, რომლებიც მოდულზე მუშაობის პერიოდში პროფესიულ სტუდენტებს დაეხმარება მოდულის ძირითადი მისაღწევი შედეგების დაძლევაში. მოდულს თან ახლავს თითოეული სწავლის შედეგისათვის შეფასების ინსტრუმენტები, რომლსაც

სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია სწავლის შედეგების (შესრულების კრიტერიუმების) გათვალისწინებით, თავად შეიმუშაოს შეფასების ადექვატური ინსტრუმენტები.

კონკრეტული სასწავლო პროგრამის მოდული განსაზღვრავს იმ შედეგებს, რომლებზეც უნდა გავიყვანოთ სტუდენტი მოდულის შესწავლისას. მასწავლებლის გზამკვლევი აძლევს მას საჭირო რეკომენდაციებს თუ როგორ მიაწოდოს სტუდენტს მოდულით განსაზღვრული სასწავლო მასალები ისე, რომ უზრუნველყოს სტუდენტის ეფექტური ჩართულობა სასწავლო პროცესში (სასწავლო მასალის შესწავლა, გააზრება და შემდგომი გამოყენება). გზამკვლევი მოდულში მოცემულ სასწავლო პაკეტთან ერთად უნდა გამოვიყენოთ. ეს პაკეტი შეიცავს:

- აუცილებელ სასწავლო მასალებს;
- რეკომენდებულ აქტივობებს სტუდენტებისათვის.

მასწავლებლის გზამკვლევი, სასწავლო მოდულისთვის „ტურიზმის ინდუსტრია“, ასევე იძლევა რჩევებს და რეკომენდაციებს თუ რა მასალები უნდა მივაწოდოთ სტუდენტს თითოეული შედეგის მისაღწევად და რა სახის აქტივობა შევთავაზოთ მას. აგრეთვე მოცემულია ის ტესტები, რომლებიც გვიჩვენებს თუ რამდენად აითვისა სტუდენტმა სწავლის პროცესში მოცემული მასალა და რამდენად ეფექტურად შეიძლია მას გამოიყენოს მოცემული ცოდნა. სასწავლო პაკეტს თან ერთვის რეკომენდებული დროითი ჩარჩო, რაც სამუშაოს სქემის მომზადებაში დაგეხმარებათ.

გზამკვლევში გამოყენებულია სიმბოლოები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის მასალის, აქტივობის განსასხვავებლად (1, 2) გამოიყენება. სიმბოლო გვიჩვენებს (3) როდის შეიძლება იქნას პედაგოგის მიერ გამოყენებული საკონტროლო (წინასწარი შეფასების, სააზროვნო) კითხვები, რომელიც მასწავლებელს მასალის ახსნის, განმტკიცებისა თუ პროფესიული სტუდენტის მიერ მასალის ათვისების ხარისხის დადგენაში დაეხმარება. სიმბოლო (4) მასწავლებელს შეახსენებს თითოეული სწავლის შედეგისათვის აუცილებელ სასწავლო რესურსს, რომელიც მას მეცადინეობის დაწყების წინ მომზადებული/ მოწესრიგებული/გამართულ მდგომარეობაში უნდა ჰქონდეს. სიმბოლო (5) -სწავლის შედეგი.

	დამხმარე მასალა (ჰენდაუთი) პროფესიულისტუდენტისათვის
	აქტივობა
	საკონტროლო კითხვები
	სწავლებისათვის საჭირო რესურსები, მასალები, ინსტრუმენტები

მოდულს შვიდი სწავლის შედეგი აქვს

სწავლის შედეგებია:

მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს:

- *განსაზღვროს ტურიზმის რაობა;*
- *ჩამოაყალიბოს ტურიზმის ძირითადი ცნებები და ტურისტული მოგზაურობის ფორმები;*
- *განსაზღვროს ტურისტული რესურსები, ინფრასტრუქტურა და ტურისტული რეგიონები;*
- *განასხვავოს ტუროპერატორისა და ტურაგენტის საქმიანობა;*
- *დაახასიათოს და ჩამოაყალიბოს ტურიზმის სფეროში არსებული განთავსების საშუალებები*
- *აღწეროს სატრანსპორტო მომსახურების სახეები ტურიზმში;*
- *დაახასიათოს გართობის ინდუსტრიის საწარმოები, ანიმაციისა და საექსკურსიო მომსახურების როლი ტურიზმში.*

სწავლის შედეგი 1

ტურიზმის რაობის განსაზღვრა

საქართველოში ტურიზმის ცალკეული სახეების განვითარება, საქართველოს ტურისტული დარაიონება, ტურისტული ბუნებათსარგებლობა და ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება საქართველოში.

ტურიზმი - ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილებაა თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების და/ან სხვა მიზნით.

საქართველოში ფლორის, ფაუნის, ლანდშაფტური, კულტურული და ისტორიული პოტენციალის გათვალისწინებით განვითარებულია ტურიზმის შემდეგი მიმართულებები:

1. სათავგადასავლო მოგზაურობის 1-2 კვირიანი ტურები საქართველოს და კავკასიის სხვა რესპუბლიკების (სომხეთი, აზერბეიჯანი) დასათვალიერებლად;
2. კულტურულ ღირსშანიშნაობათა დათვალიერება;
3. სპეციალური ტურები: ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და სხვა ინტერესების გათვალისწინებით;
4. რელიგიური და საპილიგრიმო ტურები;
5. ზამთრის სახეობები, ალპური სათხილამურო სპორტი, სნოუბორდი;
6. სათავგადასავალო: სამდინარო რაფტინგი, სამთო ველოსპორტი;
7. ნადირობა და თევზაობა;
8. ეკოტურიზმი.

ტურიზმი, როგორც ეკონომიკის დარგი, ხასიათდება ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე მკვეთრად გამოხატული ორიენტაციით, რომელიც მოიხმარს ბუნებრივ კომპლექსებსა და მათ ელემენტებს. აქედან გამომდინარე, ტურიზმი ბუნებით სარგებლობის მრავალმიზნობრივი სახეობაა, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის ბუნებას.

ბუნების დაცვის საერთაშორისო საზოგადოების განმარტებით ეკოტურიზმი ბუნებაში პასუხისმგებლობითი მოგზაურობაა, რომელიც ხელს უწყობს ბუნების დაცვას და მხარს უჭერს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას.

ტურისტული რეგიონი - განსაზღვრული ქვეყნების ან რაიონების ჯგუფი გეოგრაფიულად გარკვეულ რეგიონში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ტურისტული რესურსებისა და ტურისტების მიღების წესების მსგავსება - ერთობლიობა.

საქართველოს 11 ტურისტულ რეგიონად დაყოფა მოხდა ერთი მხრივ ქვეყნის ისტორიული პროვინციების მიხედვით და მეორე მხრივ რეგიონის ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით. საქართველო რეგიონების ტურისტული რესურსები კი განაპირობებს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პრიორიტეტებს.

I შედეგის შესრულების კრიტერიუმებია:

<u>მასწავლებლის მიმოხილვა</u>

მასწავლებელი განმარტავს, რომ თანამედროვე ტურიზმი მძლავრი ინდუსტრიაა და ხასითდება მაღალი ეკონომიკური ეფექტურობითა და მდგრადი განვითარებით. ტურიზმის ინდუსტრიის რაციონალური ორგანიზაცია ქმნის სამუშაო ადგილებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ხელს უწყობს ტურიზმთან მომიჯნავე დარგების განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას და ფულადი მასის გადადინებას სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით. ამავდროულად, ეკონომიკის დარგია, რომლის მიზანია კულტურისა და განათლების განვითარება, დასვენებისა და ურთიერთობის ორგანიზაცია და ადამიანის ენერგიის აღდგენა-განახლება.

ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას განვითარებად ქვეყნებში, სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლების ზრდის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით. ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და გონივრული კანონმდებლობის დანერგვა.

ტურიზმის ინდუსტრიის ძირითადი სექტორებია: განთავსების საშუალებები; სატრანსპორტო საშუალებები და გადაზიდვები; ტურისტული ატრაქციები და ანიმაცია; ტუროპერირება; რეკლამა და „პრომოუშენი“; საინფორმაციო ტექნოლოგიები; დაზღვევა; სარეკლამო, საინფორმაციო მომსახურება, საექსკურსიო-სამუზეუმო მომსახურება და სხვ.,

I შედეგის შესაბამისი თემატიკა:

1.1. ტურისტული ინდუსტრიის განმარტება და მისი ცნებების განსაზღვრა

ტურისტული ინდუსტრია - ზოგადად, ყველა იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომელთა საქმიანობაც ემსახურება მოგზაურობის დროს ტურისტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ტურიზმის ინდუსტრია შედგება მრავალი მომსახურე დარგისაგან, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ტურიზმისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, წარმოების პროცესში სამუშაო ძალის მომზადების, საზოგადოების მატერიალური და სულიერი ფასეულობის შესწავლისა და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენების საფუძველზე ტურისტული პროდუქტით და მომსახურების ტურისტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

1.2. ტურისტული ინდუსტრიის სტრუქტურა



1.3. ტურიზმის განვითარების გზები პირველყოფილ საზოგადოებაში

ტურიზმის საწყისი სტადია მომთაბარე პირველყოფილი ადამიანების დროიდან მომდინარეობს, როდესაც მათ უხდებოდათ გადაელახათ დიდი ტერიტორიები ცხოვრებისათვის შესაფერისი პირობების ძიებისას. საკვების მუდმივი ძიების აუცილებლობა პირველყოფილ ადამიანებს აიძულებდა დაემახსოვრებინათ თავიანთი მარშრუტები, კარგად გარკვეულიყვნენ ადგილის ორიენტირებაში. პირველი ტერიტორიული გადაადგილებანი განპირობებული იყო მკაცრ ბუნებრივ პირობებში, ხალხთა გადარჩენის აუცილებლობით, მათ მაინც ჩამოაყალიბეს მოგზაურობის ჩვევები, შექმნეს წინაპირობები გეოგრაფიული აღმოჩენებისათვის და შემეცნებითი მიზნებით მოგზაურობისთვის.

1.4. ტურიზმი და ძველი მსოფლიო

ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე 2 ათასი წლის წინ XI დინასტიის ფარაონების პერიოდში არაერთხელ შედგა მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყნებში.

ცნობილია ჩვ.წ.აღ-მდე 125 წელს სიმ ციანის სამი მოგზაურობა ჩინეთის დიდ ტერიტორიაზე. მისი მარშრუტზე გადიოდა დიდი აბრეშუმის გზა, რომელიც აღმოცენდა ჩვ.წ.აღ-მდე მე-3 საუკუნეში, როგორც სავაჭრო მაგისტრალი.

ანტიკური ასტრონომებიდან მსოფლიოს რუკის გრადუსთა ბადე გამოიგონა და საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ კარტოგრაფიას ჰიპარქსიმ, ხოლო ახალი დროის მეცნიერებამდე მარტინ ბეჰაიმმა (1492 წ) დაამზადა ჩვენს დრომდე მოღწეული ყველაზე ძველი გლობუსი.

ანტიკურ პერიოდში მოგზაურობის ძირითადი მოტივები იყო ვაჭრობა, სამყაროს შეცნობა, გამოჯანმრთელება, განათლება. უკვე ჩვ.წ.აღ-მდე I საუკუნეში მოგზაურთა ორგანიზებული მომსახურების ელემენტები წარმოჩინდნენ, რომელიც შემდგომში თანამედროვე ტურისტული მომსახურების საფუძველი გახდა.

1.5. ტურიზმის განვითარების ისტორია შუა საუკუნეებში

შუასაუკუნეებში როგორც ევროპული, ისე აზიური ქვეყნების მცხოვრებლები მოგზაურობების უმეტესობას ახორციელებდნენ უცნობი მიწების მონახულების მიზნით. შედეგად ათვისებული იქნა მრავალი ტერიტორია, გაკვალულ იქნა ახალი გზები, მოგზაურობის ხასიათი იცვლებოდა. განსაკუთრებული აქტუალობა ევროპის ქვეყნებში შეიძინა მომლოცველობამ ქრისტიანული წმინდანებისადმი და მოგზაურობამ განათლების მიღების მიზნით. შუა საუკუნეებში ეყრება საფუძველი ტურიზმის ინფრასტრუქტურის იმ ძირითად ელემენტებს, როგორებიცაა: გზები, ფუნდუკები და დუქნები.

1.6. მსოფლიო ტურიზმის განვითარება XVIII-XX სს-ებში

XVIII საუკუნიდან დაწყებული მოგზაურობებზე მუდმივი მოთხოვნა იწყება. ტურისტული მიზნებით მოგზაურობები ხორციელდებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. ამასთან მოგზაურობის მთავარ მიზნებს წარმოადგენდა : განათლება, კულტურულ-ღირსშესანიშნაობებისადმი ინტერესი, გაჯანსაღება, მოდა. ფორმირდება საერთაშორისო ტურისტული ცენტრები: საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია, საზღვაო კურორტები. საკომუნიკაციო-საგზაო სისტემების განვითარებამ, ტურისტული მიზნებისათვის ტრანსპორტის ახალი სახეების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ტურისტების კომპლექსური მომსახურების ელემენტების გაჩენა (პაკეტ-ტურის პროტოტიპი), ასევე სრულყოფილი ხდება საცხოვრებელისა და კვების მომსახურება.

რაც შეეხება მე-20 საუკუნეს, საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას, რასაც ხელი შეუწყო პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, ტექნიკურმა, კულტუროლოგიურმა და სოციალურმა ფაქტორებმა. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაზე არსებითი დადებითი გავლენა იქონია ტრანსპორტის განვითარებამ, ხელმისაწვდომი ფასებისას მისი კომფორტაბელურობის გაზრდამ, ასევე ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამ.

1.7. ტურიზმის განვითარების ეტაპები საქართველოში

საქართველოს მიმართ ინტერესი უძველესი დროიდან იწყება, რასაც მოწმობს ჯერ კიდევ არგონავტების მოგზაურობები. საქართველოს კარგად იცნობდნენ მოგზაურები, ვაჭრები და შიკრიკები, რაც განპირობებული იყო საქართველოს მდებარეობით „დიდი აბრეშუმის გზაზე“.

თუმცა საქართველოში ტურიზმის განვითარება მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ფაქტიურად იგი მასშტაბურ ხასიათს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან იღებს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ვარძიასა და ა.შ. დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი გაგრაში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოში და სხვა.

სწავლის პირველი შედეგის დისკუსია

კოლეჯის აუდიტორიაში სტუდენტები გამართავენ დისკუსიას თემაზე:
,,საქართველოში ტურიზმის განვითარების ისტორიული ეტაპები''.
დისკუსიაში მონაწილე ორივე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა იყოს თანაბარი.
სასურველია მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის პირისპირ განლაგდნენ.

რჩევები მასწავლებელს დისკუსიის მეთოდის გამოყენების დროს:

- დისკუსიის წარმატებული წარმართვისათვის მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს სადისკუსიო თემა და იგი საინტერესო უნდა იყოს სტუდენტებისთვის;
- სადისკუსიოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლექციასა თუ სემინართან დაკავშირებული ნებისმიერი თემა, რომლის შესახებაც განსხვავებული აზრი არსებობს;
- სადისკუსიო თემასთან დაკავშირებით სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი ცოდნა;
- სადისკუსიო თემის დამუშავების მიზნით, სტუდენტებს წინასწარ შეიძლება მიეთითოთ შესაბამისი ლიტერატურა;
- მასწავლებელმა წინასწარ, თავისთვის მკაფიოდ უნდა განსაზღვროს დისკუსიის ფორმატი: პოლემიკაში მონაწილეთა საუბრის რეგლამენტირება, აზრის გამომთქმელთა თანმიმდევრობა, მთავარი და დამაზუსტებელი შეკითხვების განსაზღვრა და ასეთი შეკითხვების დასმის დრო და ტექნიკა;
- დისკუსიის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს მასწავლებლის როლი - პირველ დისკუსიაზე იგი უნდა იყოს როგორც მოდერატორი, ასევე ფასილიტატორი. არ უნდა გამოირიცხოს შემდგომში ამ როლის სტუდენტების მიერ მონაცვლეობით შესრულება;
- მასწავლებელმა არ უნდა გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება პოლემიკაში მონაწილე მხარეების მიმართ - იგი უნდა იყოს ნეიტრალური;
- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს დისკუსიაში ყველა სტუდენტის აქტიური მონაწილეობა, პასიური სტუდენტები შეიძლება წახალისდნენ მათზე ფოკუსირებული შეკითხვების დასმით;
- სადისკუსიო კითხვები უნდა იწყებოდეს ასეთი სიტყვებით: „რატომ?“ და „როგორ?“ - არ უნდა იწყებოდეს: „ვინ?“, „სად?“, „როდის?“;
- სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ დასმულ შეკითხვაზე პასუხის მომზადების საშუალება;
- მნიშვნელოვანია სტუდენტებს გამოუმუშავდეთ დისკუსიის დროს საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გამოხატვის უნარი.
- მასწავლებელი ახდენს სტუდენტების განმავითარებელ შეფასებას დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ.

სასწავლო მასალის დემონსტრირების სქემა:

1. სასწავლო მასალის დემონსტრირება მოახდინეთ პროექტორის და მსოფლიოსა და საქართველოს ტურისტული რუკების საშუალებით;
2. განათავსეთ საილუსტრაციო მასალა გამოსაჩენ ადგილზე აუდიტორიაში;
3. კომენტარი გაუკეთეთ თითოეულ რუკას;
4. გარკვეული დრო დაუთმეთ სტუდენტებს შორის აზრთა გაზიარებას;
5. უპასუხეთ სტუდენტების მიერ დასმულ კითხვებს.

დამოუკიდებელი სამუშაო

ისარგებლეთ ინტერნეტ-საიტებით და მოიძიეთ ინფორმაცია: **„ რა როლი ითამაშა თომას კუკმა მოგზაურობის მსოფლიო ტურისტულ ინდუსტრიად ჩამოყალიბებაში“.**

ვებ-გვერდები:

[http://www.le.ac.uk/lahs/downloads/CookSmPagesfromvolumeXLIX-3.pdf Article about Thomas Cook]

Thomas Cook: The Holiday-Marker by Jill Hamilton

The Golden Age of Travel by Andrew Williamson

Grand Tours and Cook`s Tours: A History of Leasure Travel, 1750-1915 by Lynne Withey

Thomas Cook of Leicester by Robert Ingle

Thomas Cook: 150 years of popular tourism by Piers Brendo

კითხვები განმავითარებელი შეფასებისათვის

1. რა არის ტურისტული ინდუსტრია?
2. როგორია ტურისტული ინდუსტრიის სტრუქტურა და სახეები?
3. დაასახელეთ ტურიზმის განვითარების ისტორიული ეტაპები
4. მე-18 საუკუნეში ყველაზე მეტი მოგზაურობა რომელი ქვეყნის მცხოვრებლებმა განახორციელეს?
5. დაასახელეთ ტურისტული ინდუსტრიის საწარმოები
6. რა არის ტურიზმის „განმაპირობებელი ფაქტორები“?
7. ტურიზმის ინდუსტრიის მაღალი ტექნოლოგიების პერიოდად რომელი საუკუნის რომელი წლები ითვლება?

სწავლებისათვის საჭირო რესურსები, მასალები, ინსტრუმენტები

სასწავლო აუდიტორია, სადაც არსებობს ყველა ის მასალა და ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროა თეორიული კურსისა და პრაქტიკული სავარჯიშოების განსახორციელებლად.

რესურსები: საქართველოს, მსოფლიოს და ევროპის გეოგრაფიული, ადმინისტრაციული და პოლიტიკური რუკები; საქართველოს სხვადასხვა რეგიონების გზამკვლევები; თვალსაჩინოებები; საქართველოს ციხე-სიმაგრეების და კულტურული მემკვიდრეობის და საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკები.

მასალები: საკანცელარიო მასალები.

ინსტრუმენტები: კომპიუტერი, პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ფოტო-ვიდეო აპარატი.

ინტერნეტ რესურსი: [http://www.le.ac.uk/lahs/downloads/CookSmPagesfromvolumeXLIX-3.pdf Article about Thomas Cook]

ცოდნის შეფასება 1

მოდულის პირველი შედეგის შეფასება:

წარმოდგენილია პირველი შედეგების შეფასების ინსტრუმენტები.

ჯგუფი ემზადება პირველი შედეგის შეფასებისათვის და მასწავლებელმა უნდა შეახსენოს ჯგუფს მოდულის პირველი შედეგი თავისი შესრულების კრიტერიუმებით.

მტკიცებულებების შეგროვებას მასწავლებელი ახდენს სტუდენტების წერილობითი (ტესტების) საშუალებით და დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ.

პირველი სწავლის შედეგის შეფასება ხდება სასწავლო აუდიტორიაში, როგორც პროცესზე დაკვირვებით, (მასწავლებელი აკვირდება სტუდენტის მუშაობას სწავლის შედეგით განსაზღვრული საკითხების შესრულების პროცესში).

იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი ვერ ახერხებს შედეგის მიღწევის დადასტურებას, მასთან განსახორციელებელია დამატებითი აქტივობები, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მასწავლებლის კონსულტაციებისა და სტუდენტის მიერ დამატებითი დამოუკიდებელი სამუშაოს საშუალებით. მასწავლებელი საშუალებას აძლევს სტუდენტს გავიდეს ხელახლა შეფასებაზე. შესაძლოა აღნიშნული შედეგი მან დაადასტუროს მტკიცებულებების შეგროვების მეორე ეტაპზეც.

პირველი სწავლის შედეგისათვის

სწავლის შედეგის შემეცნებითი უნარების შეფასება ხდება აუდიტორიაში, წერილობით (ტესტების) საშუალებით.

დანართი 1.

კითხვა	*პასუხი*	
	დამაკმაყოფილებელი	არადამაკმაყოფილებელი
რა არის ტურიზმის ინდუსტრია ❖ ყველა იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომელთა საქმიანობაც ემსახურება მოგზაურობის დროს ტურისტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ❖ ბუნებრივი, ისტორიული, სოციალურ-კულტურული, საკურორტო და რეკრეაციული, სპორტული, გამაჯანსაღებელი და ა.შ. ობიექტები, რომელსაც შეუძლია ტურისტის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და სულიერი ძალების აღდგენა		

ტურიზმი ეს არის: ❖ მიზნისგან დამოუკიდებლად ადამიანების გადაადგილება დროსა და სივრცეში ❖ ადამიანის დროებითი გადაადგილება დასვენების, გაჯანსაღების, სამკურნალო, შემეცნებითი, რელიგიური ან პროფესიულ-საქმიანი, ან სხვა მიზნებით, მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივი საფინანსო წყაროებიდან ანაზღაურებადი საქმიანობის გარეშე		
რა **როლი ითამაშა თომას კუკმა მოგზაურობის მსოფლიო ტურისტულ ინდუსტრიად ჩამოყალიბებაში** ❖ თომას კუკმა ტურიზმი საერთაშორისო ინდუსტრიად აქცია, ეტაპობრივად შექმნა ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფორმა-ორგანიზებული ტურისტული მოგზაურობა		

❖ თომას კუკმა მოახდინა სრული დემოკრატიზაცია, როდესაც ტურისტების ჩართულობა მასობრივ ტურიზმში პიკს აღწევდა		
რა წარმოადგენს „ტურიზმის განმაპირობებელ ფაქტორებს“ ❖ დრო, თანხები, მოტივაცია, გადაადგილების თავისუფლება, ინფრასტრუქტურა ❖ ტრანსპორტი, კვება, განთავსება, სადაზღვევო, სავიზო და საბანკო მომსახურება		
მიუთითეთ „საერთაშორისო ტურიზმის“ ცნების ზუსტი განსაზღვრება ❖ მოქალაქეთა ქვეყნიდან საზღვარგარეთ მოგზაურობა ❖ შესვლითი და გასვლითი ტურიზმის ერთობლიობა		
ვინ ითვლება ტურიზმის ისტორიაში სიტყვა „ტურისტის“ გამომგონებლად ❖ თომას კუკი		

❖ სტენდალი		
ოლიმპიური თამაშების ისტორია, რომლის დროსაც საფუძველი ჩაეყარა ადამიანთა მასობრივ გადაადგილებას მომდინარეობს: ❖ ჩვ.წ.აღ-მდე 776 წლიდან ❖ ჩვ.წ.აღ-მდე 850 წლიდან		
ვინ არის ტურიზმის ისტორიაში აღნიშნული, როგორც პირველი მეცნიერი - მოგზაური და „ისტორიის მამად“ წოდებული ❖ პეროდოტე ❖ მარკო პოლო		
ვინ ითვლება საქართველოში ტურიზმის ფუძემდებლად ❖ ნიკო ნიკოლაძე ❖ გიორგი ნიკოლაძე		
როდის მოეწყო საქართველოში პირველი ტურისტული ლაშქრობა „გაფრენა“ ❖ 1921 წელს		

❖ 1945 წელს		
გრანდ-ტურის „ოქროს“ ხანაა ❖ XVI ს. ❖ XIX ს.		
ვინ შეადგინა პირველი რუკა ❖ მარტინ ბეჰაიმმა ❖ ელ ედრისმა		

შეფასება მოხდება მასწავლებლის მხრიდან დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი განსაზღვრებით,
დადებითი შეფასების შემთხვევაში სასურველია სტუდენტმა გასცეს სწორი პასუხი 7 შეკითხვას, (მათ შორის საკვანძო შეკითხვებია 1,2, 4, 6).

სწავლის შედეგი 2

ტურიზმის ძირითადი ცნებები და ტურისტული მოგზაურობის ფორმების ჩამოაყალიბება;

ნებისმიერი დარგის სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ერთიანი ტერმინოლოგია და გაგების საფუძვლები, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ტერმინებსა და დეფინიციებს.

ტურიზმი - ეს არის პროცესი, საქმიანობა და შედეგები, რომლებიც წარმოქმნილია ვიზიტორების მოზიდვასა და მასპინძლობაში ჩართული მონაწილეების - ტურისტების, ტურიზმის დარგის მიმწოდებლების, მიმღები ქვეყნის მთავრობის, მასპინძელი მოსახლეობისა და გარემოს - ურთიერთობებითა და ურთიერთმოქმედებებით.

ტურირისტული მოგზაურობის ფორმები ჩამოყალიბებულია ტურისტებისათვის შეთავაზებული ადგილის, ორგანიზაციული ფორმების, ტურისტთა ასაკის, დაფინანსების ფორმის და წლის დროის მიხედვით.

II შედეგის შესრულების კრიტერიუმებია:

<u>მასწავლებლის მიმოხილვა:</u>

მასწავლებელი განმარტავს, რომ ტურიზმის ძირითადმა ცნებებმა განვითარების გრძელი გზა გაიარა, შეივსო ახალი ელემენტებით, რის შედეგადაც გავრცელება ჰპოვა ტურიზმის არსის მრავალმა განმარტებამ, რომლებიც სისტემატურად განიხილებოდა მრავალრიცხოვან სამეცნიერო კონფერენციებსა და შეკრებებზე. 1963 წლის რომის კონფერენციამ შეიმუშავა

ტურიზმის ცნებების თანამედროვე დეფინიციები, რომლებსაც ეყრდნობა ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციები და მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობა.
მსოფლიოს მრავალ ქვეყანას და მათ შორის საქართველოს ტურიზმის მრავალი სახეობის განვითარების შესაძლებლობები გააჩნია. ზოგადად, თანამედროვე ტურიზმის სახეობებისა და მიმართულებების კლასიფიკაციისათვის საჭიროა გათვალისწინებული იყოს ტურისტთა გადაადგილების მიმართულება და მოგზაურობის მიზანი, რაც განაპირობებს ტურიზმის სახეობებისა და მიმართულებების ჩამოყალიბებას.

II შედეგის შესაბამისი თემატიკა:

2.1. ტურიზმის ძირითადი ცნებების განმარტებანი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

- საქართველოს კანონმდებლობა ,,ტურიზმისა და კურორტების შესახებ'' ტურიზმს განმარტავს, როგორც ადამიანის თავისუფალ, ნებაყოფლობით, დროებით გადადგილებას თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების ან სხვა მიზნით.
- საქართველოს კანონის ,,ტურიზმისა და კურორტების შესახებ'' მიხედვით ტურისტი არის ფიზიკური პირი, რომელიც ნებაყოფლობით მოგზაურობს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, დასვენების, გაჯანსაღების, საქმიანი ან სხვა მიზნით, არანაკლებ 24 საათის და არაუმეტეს ერთი წლის ვადით, რომლის მოგზაურობაც არ ანაზღაურდება დროებითი ყოფნის ადგილის საფინანსო წყაროებიდან.
- საქართველოს კანონით ,,ტურიზმისა და კურორტების შესახებ'' ტურისტული პროდუქტი განმარტებულია, როგორც ტურისტული მომსახურების პაკეტი ტურისტული მომსახურების ძირითად ფორმათა (კვება, ღამის თევა განთავსების სხვადასხვა საშუალებებში, სატრანსპორტო მომსახურება, ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები და ა. შ.) არანაკლებ ორი კომპონენტისაგან შემდგარი კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და რომლის ღირებულება შედის ტურისტული საგზურის ფასში.
-

2.2. ტურისტული მოგზაურობის ფორმები, განმარტებები და განხილვები

ტურისტული მოგზაურობა ტარდება ტურისტული ჯგუფების ფორმირების გზით სხვადასხვაგვარი ორგანიზაციული ფორმებით: გასეირნებები, ექსკურსიები, ექსპედიციები, ლაშქრობები.

გასეირნება - ტურისტულ-მხარეთმცოდნეობით მუშაობის ყველაზე მარტივი ფორმაა, აწყობენ ტყეში, მდინარეზე, მთებში და ა.შ.

ექსკურსია - გამორჩეული ადგილის კოლექტიური მონახულებაა საგანმანათლებლო, სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო ან გასართობი მიზნით.

ლაშქრობები - ესაა ორგანიზებული ჯგუფების მოგზაურობა განსაზღვრულ მარშრუტზე გადაადგილების აქტიური ფორმების გამოყენებით, რომლის მსვლელობის დროსაც შესაძლებელია ბუნებრივი წინაღობების გადალახვა.

2.3. საერთაშორისო ტურიზმი

საერთაშორისო ტურიზმი - გამგზავრება მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან ეროვნული საზღვრების ჩარჩოებში დროებით გამგზავრების დასვენების, ტურისტულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ან სხვა ტურისტული მიზნით.

2.4. შიდა ტურიზმი

შიდა ტურიზმი წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეების მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან ეროვნული საზღვრების ჩარჩოებში დროებით გამგზავრებას დასვენების, ტურისტულ მოთხოვნათა დაკმაყოფილების ან სხვა ტურისტული მიზნით.

2.5. ტურიზმის ორგანიზაციული ფორმები: პაუშალური, ინდივიდუალური, ჯგუფური, ორგანიზებული, თვითმოქმედი.

პაუშალური ტური ტურისტული მომსახურების სტანდარტიზებული, წინასწარ ორგანიზებული კომპლექსია;
ინდივიდუალური ტური ტურისტების მიერ დამოუკიდებლად განხორციელებული მოგზაურობაა;
ჯგუფური ტური რამდენიმე ტურისტისაგან შემდგარი მოგზაურობაა;
ორგანიზებული ტური ცალკეული ტურისტის ან ტურისტთა ჯგუფის მოგზაურობა ზუსტი რეგლამენტით, რომელიც დადგენილია ტურისტული დაწესებულების მიერ;
თვითმოქმედი ტური ცალკეული ტურისტის ან ტურისტთა ჯგუფის მოგზაურობა, რომელიც არ არის დაკავშირებული ტურისტულ ორგანიზაციასთან.

2.6. ტურიზმის ფორმების განსაზღვრა ასაკის, გადაადგილების სატრანსპორტო საშუალებების, წლის დროის, დაფინანსების ფორმის, ტურისტულ მარშრუტზე ფიზიკური დატვირთვის მიხედვით.

- **ტურიზმის ფორმების ასაკის მიხედვით მიხედვით კლასიფიკაციისას განისაზღვრება ტურისტების შემდეგი ჯგუფები:** ბავშვები, ახალგაზრდები, შედარებით ახალგაზრდა აქტიური ადამიანები, საშუალო ასაკის და პენსიონერები;

- **სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით:** საფეხმავლო, სათხილამურო, ველოსიპედის, საავტომობილო, საცხენოსნო, ავიატურიზმი, წყლის სლალომი, კომბინირებული;

- **წლის დროის მიხედვით:** ზამთრის და ზაფხულის ტურიზმებად;

- **დაფინანსების ფორმის მიხედვით:** კომერციული და სოციალური;

2.7. ტურიზმის სახეები: საკურორტო-გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი, გასართობი, ეკოლოგიური, საქმიანი, სასწავლო, სპორტული, ოჯახური, ბერდვოჩინგი, ჰობი-ტურიზმი, რელიგიური, სამკურნალო, სამთო-სათხილამურო, ექსტრემალური, კულინარული

- **საკურორტო ტურიზმში** იგულისხმება როგორც დასვენება, ისე სანატორიულ-საკურორტო მომსახურება და ითვლება საკურორტო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის ნაწილად;
- **გასართობი ტურიზმის** ძირითადი მიზანია გართობა ტურისტული მოგზაურობის დროს;
- **ეკოტურიზმი** - ესაა მიზნობრივი მოგზაურობა შედარებით ხელუხლებელი ბუნებისა და კარგად შემონახული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში;

- **საქმიანი ტურიზმის** შემადგენლობაში შედის ბიზნეს ტურები, საკონგრესო, საგამოფენო, დელეგაციის მომსახურება და ინსენტივ-ტურები;
- **სპორტული ტურიზმის** ძირითად მომხმარებლებად ითვლება ჯგუფი, რომელიც შედგება ჩვეულებრივი ადამიანებისაგან, რომელთაც სურვილი აქვთ მოგზაურობის დროს დაკავდნენ შერჩეული სპორტის სახეობით;
- **„ბერდვოჩინგი“** ნიშნავს ფრინველებზე დაკვირვებას;
- **სამთო-სათხილამურო ტურიზმის** სპეციალურ სახეებს მიეკუთვნება, რადგანაც ის ტურიზმის კომბინირებულ სახედ ითვლება და მოიცავს სამკურნალო-გამაჯანსაღებელ, სპორტულ, სამოყვარულო და ეკოლოგიური ტურიზმის ელემენტებს;
- **რელიგიური ტურიზმი** მოიცავს ეკლესია-მონასტრების მონახულებას და რელიგიურ დღესასწაულებზე დასწრებას;
- **სამკურნალო ტურიზმი** ითვალისწინებს ჯანმრთელობის აღდგენას და ხშირად სარეკრეაციო ფუნქციაც გააჩნია;
- **ოჯახური ტურიზმი** ითვალისწინებს დასვენებას და დახარჯული ფიზიკური და გონებრივი ზალების აღდგენას ოჯახის წევრებთან ერთად;
- **ექსტრემალური ტურიზმი** სათავგადასავალო ტურიზმის ერთ-ერთი სახეა და იგი მრავალ რისკ-ფაქტორთან არის დამოკიდებული და მოიცავს: ალპინიზმს, დაივინგს, ჯომარდობას, სპელეოტურიზმს და სხვა.
- **ჰობი-ტურიზმი** მოიცავს რაიმე მიზნით გატაცებულ მოგზაურობას.

სწავლის მეორე შედეგის დისკუსია

კოლეჯის აუდიტორიაში სტუდენტები გამართავენ დისკუსია თემაზე: „ **აირჩიეთ ტურიზმის რომელიმე სახეობა და განიხილეთ მისი პერსპექტივები საქართველოს რომელიმე რეგიონისათვის“.**
დისკუსიაში მონაწილე ორივე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა იყოს თანაბარი.
სასურველია მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის პირისპირ განლაგდნენ.

რჩევები მასწავლებელს დისკუსიის მეთოდის გამოყენების დროს:

- დისკუსიის წარმატებული წარმართვისათვის მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს სადისკუსიო თემა და იგი საინტერესო უნდა იყოს სტუდენტებისთვის;
- სადისკუსიოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლექციასა თუ სემინართან დაკავშირებული ნებისმიერი თემა, რომლის შესახებაც განსხვავებული აზრი არსებობს;
- სადისკუსიო თემასთან დაკავშირებით სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი ცოდნა;
- სადისკუსიო თემის დამუშავების მიზნით, სტუდენტებს წინასწარ შეიძლება მიეთითოთ შესაბამისი ლიტერატურა;
- მასწავლებელმა წინასწარ, თავისთვის მკაფიოდ უნდა განსაზღვროს დისკუსიის ფორმატი: პოლემიკაში მონაწილეთა საუბრის რეგლამენტირება, აზრის გამომთქმელთა თანმიმდევრობა, მთავარი და დამაზუსტებელი შეკითხვების განსაზღვრა და ასეთი შეკითხვების დასმის დრო და ტექნიკა;
- დისკუსიის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს მასწავლებლის როლი - პირველ დისკუსიაზე იგი უნდა იყოს როგორც მოდერატორი, ასევე ფასილიტატორი. არ უნდა გამოირიცხოს შემდგომში ამ როლის სტუდენტების მიერ მონაცვლეობით შესრულება;
- მასწავლებელმა არ უნდა გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება პოლემიკაში მონაწილე მხარეების მიმართ - იგი უნდა იყოს ნეიტრალური;
- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს დისკუსიაში ყველა სტუდენტის აქტიური მონაწილეობა, პასიური სტუდენტები შეიძლება წახალისდნენ მათზე ფოკუსირებული შეკითხვების დასმით;
- სადისკუსიო კითხვები უნდა იწყებოდეს ასეთი სიტყვებით: „რატომ?“ და „როგორ?“ - არ უნდა იწყებოდეს: „ვინ?“, „სად?“, „როდის?“;
- სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ დასმულ შეკითხვაზე პასუხის მომზადების საშუალება;
- მნიშვნელოვანია სტუდენტებს გამოუმუშავდეთ დისკუსიის დროს საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გამოხატვის უნარი;
- მასწავლებელი ახდენს სტუდენტების განმავითარებელ შეფასებას დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ.

სასწავლო მასალის დემონსტრირების სქემა:

1. სასწავლო მასალის დემონსტრირება მოახდინეთ პროექტორის და მსოფლიოსა და საქართველოს ტურისტული რუკების საშუალებით;
2. განათავსეთ საილუსტრაციო მასალა გამოსაჩენ ადგილზე აუდიტორიაში;
3. კომენტარი გაუკეთეთ თითოეულ რუკას;

4. გარკვეული დრო დაუთმეთ სტუდენტებს შორის აზრთა გაზიარებას;
5. უპასუხეთ სტუდენტების მიერ დასმულ კითხვებს.

დამოუკიდებელი სამუშაო

ისარგებლეთ ინტერნეტსაიტებით და მოიძიეთ ინფორმაცია: **„შეარჩიეთ ჩამოთვლილი ტურიზმის სახეებიდან ერთ-ერთი (შემეცნებითი, გასართობი, ეკოლოგიური, სპორტული, საქმიანი) და ჩამოთვალეთ დადებითი არგუმენტები მისი განვითარებისათვის საქართველოში".**

ვებ-გვერდები:
www.wotld-tourism.org
www.unwto.org.
http://en.wikipedia.org/wiki/tourism

კითხვები განმავითარებელი შეფასებისათვის

1. როგორ ჩამოყალიბდა დეფინიცია „ტურიზმი“ და რასთან იყო იგი გაიგივებული?
2. რას ეყრდნობა ცნება „ტურისტის“ თანამედროვე დეფინიცია, სად და როდის მოხდა მისი შემუშავება?
3. რა ნიშნებით ხასიათდება ტურიზმი, როგორც სოციალური აქტივობა?
4. რას ნიშნავს ინდივიდუალური და ჯგუფური ტურიზმი?
5. რას ნიშნავს ეკოლოგიური ტურიზმი?
6. ტურიზმის რომელ მიმართულებას მიეკუთვნება რაფტინგი და დაივინგი?
7. რაში მდგომარეობს სამთო-სათხილამურო ტურიზმის სპეციფიკა?
8. დაასახელეთ სამთო-სათხილამურო ტურიზმის ძირითადი რეგიონები
9. რამდენი სახისაა შემეცნებითი ტურები?
10. რას წარმოადგენს ინსენტივ - ტურიზმი?

სწავლებისათვის საჭირო რესურსები, მასალები, ინსტრუმენტები

სასწავლო აუდიტორია, სადაც არსებობს ყველა ის მასალა და ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროა თეორიული კურსისა და პრაქტიკული სავარჯიშოების განსახორციელებლად.

რესურსები: საქართველოს, მსოფლიოს და ევროპის გეოგრაფიული, ადმინისტრაციული და პოლიტიკური რუკები; საქართველოს სხვადასხვა რეგიონების გზამკვლევები; თვალსაჩინოებები; საქართველოს ციხე-სიმაგრეების და კულ-ტურული მემკვიდრეობის და საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკები.

მასალები: საკანცელარიო მასალები.

ინსტრუმენტები: კომპიუტერი, პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ფოტო-ვიდეო აპარატი.

ცოდნის შეფასება 2

მოდულის მეორე შედეგის შეფასება:

წარმოდგენილია მეორე შედეგების შეფასების ინსტრუმენტები.

ჯგუფი ემზადება მეორე შედეგის შეფასებისათვის და მასწავლებელმა უნდა შეახსენოს ჯგუფს მოდულის მეორე შედეგი თავისი შესრულების კრიტერიუმებით.

მტკიცებულებების შეგროვებას მასწავლებელი ახდენს სტუდენტების დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ. ასევე წერილობითი (ტესტების)აშუალებით.

მეორე სწავლის შედეგის შეფასება ხდება სასწავლო აუდიტორიაში, როგორც პროცესზე დაკვირვებით, (მასწავლებელი აკვირდება სტუდენტის მუშაობას სწავლის შედეგით განსაზღვრული საკითხების შესრულების პროცესში).

იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი ვერ ახერხებს შედეგის მიღწევის დადასტურებას, მასთან განსახორციელებელია დამატებითი აქტივობები, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მასწავლებლის კონსულტაციებისა და სტუდენტის მიერ დამატებითი დამოუკიდებელი სამუშაოს საშუალებით. მასწავლებელი საშუალებას აძლევს სტუდენტს გავიდეს ხელახლა შეფასებაზე. შესაძლოა აღნიშნული შედეგი მან დაადასტუროს მტკიცებულებების შეგროვების მეორე ეტაპზეც.

მეორე სწავლის შედეგისათვის

სწავლის შედეგის შემეცნებითი უნარების შეფასება ხდება აუდიტორიაში, წერითი (ტესტები) გამოკითხვის მეთოდით.

დანართი 2.

კითხვა	*პასუხი*	
	დამაკმაყოფილებელი	**არადამაკმაყოფილებელი**
რა არის ტური ➢ კონკრეტული ვადით, განსაზღვრული მიზნითა და მარშრუტით მოგზაურობა, რომელიც უზრუნველყოფილია ტურისტული პროდუქტით ➢ ტურისტული მომსახურების პაკეტი, არანაკლებ ორი კომპონენტისაგან შემდგარი კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ტურისტის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად		
რა არის ტურისტული პროდუქტი ➢ ტურისტული მომსახურების პაკეტი, ტურისტული მომსახურების ძირითადი ფორმათა (კვება, განთავსება, სატრანსპორტო მომსახურება, ექსკურსიები და ა.შ.) არანაკლებ ორი კომპონენტისაგან შემდგარი		

კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ➢ ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, ბუნებრივი მოვლენები და ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნებს		
პაუშალური ტურიზმი ეს არის: ➢ ტურისტული მომსახურების სტანდარტიზებული, წინასწარ ორგანიზებული კომპლექსი ➢ რამდენიმე ტურისტისაგან შემდგარი მოგზაურობა, რომელიც ტურს ადგენს ზუსტი რეგლამენტით , რომელიც დადგენილია ტურისტული დაწესებულების მიერ		

ვინ არის თვითმოქმედი ტურისტი ➢ ცალკეული ტურისტის ან ტურისტთა ჯგუფის მოგზაურობა ზუსტი რეგლამენტით, რომელიც დადგენილია ტურისტული დაწესებულების მიერ ➢ ცალკეული ტურისტის ან ტურისტთა ჯგუფის მოგზაურობა, რომელიც არ არის დაკავშირებული ტურისტულ ორგანიზაციასთან		
ტურისტულ მარშრუტზე ფიზიკური დატვირთვის მიხედვით განასხვავებენ: ➢ აქტიურ და პასიურ ტურიზმს ➢ სპორტულ და რეკრეაციულს		
ტურიზმის ძირითადი სახეობებია: ➢ შიდა, ეროვნული და საერთაშორისო ➢ ექსკურსია, ლაშქრობა, ექსპედიცია		
რა არის ეროვნული ტურიზმი ➢ ქვეყნის შიგა და გამყვანი ტურიზმის ერთობლიობა ➢ ქვეყნის შიგა და შემომყვანი		

ტურიზმის ერთობლიობა		
ტურიზმის რომელი მიმართულებაა „ჯომარდობა“ ➢ წყალქვეშა სამყაროს დათვალიერება ➢ მდინარეზე გასაბერი ნავებით დაშვება		
ეკოტურიზმი განიხილება, როგორც : ➢ გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საფუძველი ➢ გარემოს კონსერვაციის საფუძველი		
რა წარმოადგენს ეკოლოგიური ტურიზმის მიზნებს ➢ ტურისტული ნაკადების მიერ გარემოს დაბინძურების მინიმიზირება; გარემოს მდგრადი განვითარების ხელისშეწყობა; დაცული ტერიტორიების ქსელის შექმნა ➢ გააძლიეროს ტურისტებში ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერება		

რას ნიშნავს ინსენტივ - ტური ➢ სოციალურად დაუცველი ფენისათვის გათვალისწინებული ტურია ➢ ორგანიზაციის თანამშრომელებისათვის წამახალისებელი ტურია		

შეფასება მოხდება მასწავლებლის მხრიდან დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი განსაზღვრებით, დადებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გასცეს სწორი პასუხი 6 შეკითხვას, (მათ შორის საკვანძო შეკითხვებია 1,2,4,9).

სწავლის შედეგი 3

ტურისტული რესურსების, ინფრასტრუქტურისა და ტურისტული რეგიონების განსაზღვრა;

ტურისტული რესურსი წარმოადგენს ბუნებრივი, ისტორიული, სოციალურ-კულტურული, საკურორტო და რეკრეაციული, სპორტული, გამაჯანსაღებელი და ა.შ. ობიექტი, რომელსაც შეუძლია ტურისტის სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენა.

ტურიზმის ინფრასტრუქტურაში მოიაზრება შენობათა კომპლექსი, საინჟინრო და საკომუნიკაციო ქსელები, გზები, ტურისტული ინდუსტრიის მომიჯნავე საწარმოები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტთა ნორმალურ მიღწევას ტურისტულ რესურსებამდე.

ტურისტული რეგიონი - განსაზღვრული ქვეყნების ან რაიონების ჯგუფი გეოგრაფიულად გარკვეულ რეგიონში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ტურისტული რესურსებისა და ტურისტების მიღების წესების მსგავსება-ერთობლიობა.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (მტო) მიერ მიღებული კლასიფიკაციით მსოფლიო დაყოფილია 6 ტურისტულ რეგიონად. ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რომელი რეგიონიდან შემოდის ტურისტთა მეტი რაოდენობა. საქართველოს შემთხვევაში, შემოსულ არარეზიდენტ ვიზიტორებს შორის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი ევროპის რეგიონზე მოდის.

მსოფლიო ტურისტული რეგიონებია: ევროპა, ამერიკის რეგიონი, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონი აფრიკის რეგიონი და სამხრეთ აზიის რეგიონი.

ლანდშაფტური რესურსებისა და ტრადიციული ცხოვრების შერწყმა საქართველოს რეგიონებისათვის უმნიშვნელოვანესი და ძვირფასია, იგი ამასთანავე წარმოადგენს

ქვეყანაში ტურიზმის ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელ და საჭირო კომპონენტს. საქართველოში 12 ტურისტული რეგიონია, რომელთაც ტურიზმის განვითარების საკმაოდ დიდი შესაძლებლობა აქვთ.

III შედეგის შესრულების კრიტერიუმებია:

<u>მასწავლებლის მიმოხილვა:</u>

მასწავლებელი განმარტავს, რომ ტურისტული რესურსების მიზნობრივ გამოყენებაზეა დაფუძნებული ტურიზმის ბიზნესი. ტურისტული რესურსების ოდენობა, ხარისხი და ნაირმრავალფეროვნება განაპირობებს ტურიზმის განვითარების სპეციფიკას, სახეობების მრავალფეროვნებას, ტურისტული ნაკადების სიმძლავრეს და რეგიონში წარმოებული საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს.

ტურისტული რესურსების გამოყენების აუცილებლობა დგება მხოლოდ კონკრეტული რესურსებისადმი ტურისტული ინტერესის არსებობის შემთხვევაში, ხოლო ტურისტული ინტერესის ობიექტები კი არის სხვადასხვა სახის ღირსშესანიშნაობები.

მასწავლებელი მიმოიხილავს ტურისტულ ინფრასტრუქტურას, იმ ჭრილში, რომ ტურისტული ობიექტი ვერ გახდება ტურისტების ინტერესთა სფერო, თუ არ არსებობს სათანადო ინფრასტრუქტურა.

მასწავლებელი აძლევს შეფასებას მსოფლიო და საქართველოს ტურისტულ რესურსებს.

III შედეგის შესაბამისი თემატიკა:

3.1. <u>საქართველოსა და მსოფლიოში არსებული ბუნებრივი ტურისტული რესურსები;</u>

ტურისტული რესურსები განიხილება, როგორც ტურიზმის სექტორისათვის ეკონომიკური ღირებულების მქონე მატერიალური ობიექტები.

განასხვავებენ ბუნებრივ და ხელოვნურ სახეებს:

ბუნებრივი – მოიცავს სანაპიროებს, მღვიმეებს, მომხიბლავ ადგილებს და ველურ ბუნებას;

ხელოვნური - ადამიანის შექმნილი, ისტორიული სახლები,ციხესიმაგრეები და ტაძრები;

ადამიანის შექმნილი სპეციალურად ტურისტების მისაზიდად – მუზეუმები, ხელოვნების გალერეები, საგამოფენო ცენტრები, სამორინეები და დასვენების დღეების ატრაქციების (თემატური პარკები და აკვაპარკები)სულ უფრო მზარდი რაოდენობა.

საქართველო მდიდარია ბუნებრივი ტურისტული რესურსებით. მის ტერიტორიაზე მიედინება 26060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 60 ათას კმ-ს აღწევს. ბუნებრივ რესურსებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მინერალური რესურსები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ ქვეყნის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებას.

მინერალური რესურსები ამოწურვადი და აღუდგენელი რესურსებია. ნებისმიერი ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრეებიდან მნიშვნელოვანია სათბობ-ენერგეტიკული რესურსები: ნავთობი, ქვანახშირი, ბუნებრივი აირი და ტორფი.

საქართველოში 14 დაცული ტერიტორია და 860 ტბაა. საქართველოს ცხოველთა სამყარო (ფაუნა) საკმაოდ მრავალფეროვანია. აქ ცნობილია ძუძუმწოვრების 100-მდე, ფრინველების 330-ზე მეტი, ქვეწარმავლების 48, ამფიბიების 11, თევზების 160-მდე და უხერხემლო ცხოველების ათასობით სახეობა.



საქართველოს მცენარეთა სამყარო მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი დაახლოებით 13300 სახეობას ითვლის, მათ შორის 4225 თესლოვან მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება, 75 — გვიმრისებურს, 600 — ხავსებს, 650 — მღიერებს, 5000 — სოკოვნებსა და 2000 — წყალმცენარეებს.

დედამიწის ბიოსფერო შედგება ატმოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ლითოსფეროსგან. დედამიწის ზედაპირის თითქმის ¾ წყალს უკავია, რაც ხუთ ოკეანეს მოიცავს, ესენია: წყნარი (რომელიც უდიდესია), ატლანტის, ინდოეთის, სამხრეთისა და არქტიკული (ჩრდილო ყინულოვანი). ხმელეთი კი იკავებს დარჩენილ 29% და შედგება შვიდი კონტინენტისა და მიმდებარე კუნძულებისგან, კერძოდ: აზია (უდიდესი როგორც ფართობით, ისე მოსახლეობით), აფრიკა, ჩრდილო ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, ანტარქტიკა, ევროპა და ავსტრალია. მთები და მთიანეთები შეადგენენ ხმელეთის ზედაპირის 75%. მსოფლიო ტყის საფარიც იმსახურებს განსაკუთრებულ აღნიშვნას. განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში ტყეები და გატყიანებული ადგილები, წარსულში არსებული ექსპლოატაციის საპირისპიროდ, ახლა რეკრეაციისა და ველური ბუნების დაცვისთვის ღირებულად ითვლება.

3.2. საქართველოსა და მსოფლიოში არსებული კულტურულ-ისტორიული ტურისტული რესურსები;



საქართველოში 35 000 ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, 5 000 სახელმწიფო იცავს, ოთხი მათგანი შესულია UNESCO-ს ძეგლთა დაცვის ნუსხაში 2007 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ იუნესკოს წევრობის კანდიდატად (საცდელი სია) წარუდგინა 15 ისტორიული და ბუნებრივი ძეგლი.

მსოფლიოში არსებობს 7 საოცრება:

ხეოფსის პირამიდა, სემირამიდას დაკიდული ბაღები, არტემიდეს ტაძარი ეფესში, ზევსის ქანდაკება, ალექსანდრიის შუქურა, როდოსის კოლოსი, მავზოლეუმი ჰალიკარნასში.

ამ საოცრებებიდან დღესდღეობით მხოლოდ ხეოფსის პირამიდა შემორჩა, თუმცა მის გარდა არსებობს უამრავი კულტურული ძეგლები, თანამედროვე მსოფლიოს ახალი საოცრებები აქვს.

იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში მსოფლიოს მასშტაბით 878 ძეგლია შეტანილი, მათ შორის 0,34 % საქართველოს ძეგლებია.

3.3. საქართველოსა და მსოფლიოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ტურისტული რესურსები;

ტურიზმის ბიზნესის განვთარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მსოფლიოსა და ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ტურიზმის სექტორის კვლავაც აუთვისებელი პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესში სამუშაო ადგილების შექმნის, სოფლის მეურნეობის განვითარების და საქართველოს რეგიონულ ცენტრად ჩამოყალიბების ამოცანებს ესადაგება.

3.4. ტურისტული რესურსებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებები.;

ტურისტულ რესურსებს სამი ძირითადი სპეციფიკური მახასიათებლები და თვისესბები აქვს:

- ტურისტული რესურსები, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც ტურიზმის სექტორისათვის ეკონომიკური ღირებულების მქონე მატერიალური ობიექტები;
- ტურისტული რესურსებით ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ტურისტები არ სარგებლობენ. გარდა საკურორტო რაიონებისა თუ თემატური პარკებისა, სადაც ტურიზმი მიწათსარგებლობის დომინანტია, იგივე რესურსებით სარგებლობს სოფლის მეურნეობა, ტყის მეურნეობა, წყალმომარაგება და იქაური მოსახლეობა, რომელიც ადგილობრივ რესურსებს იყენებს;
- ტურისტული რესურსები არამდგრადია. ტურისტული ზეწოლის გამო მათ ცვლილება და ნგრევა ემუქრებათ;

3.5. ტურისტული რეგიონები.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (მტო) მიერ მიღებული კლასიფიკაციით მსოფლიო დაყოფილია 6 ტურისტულ რეგიონად: ევროპა, ამერიკა, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ აზიის რეგიონი, აფრიკის რეგიონებად. ხოლო საქართველოს 12 ტურისტულ რეგიონად დაყოფა მოხდა ერთის მხრივ ქვეყნის ისტორიული პროვინციების მიხედვით და მეორეს მხრივ ამ რეგიონების ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით.

სწავლის მესამე შედეგის დისკუსია

კოლეჯის აუდიტორიაში სტუდენტები გამართავენ დისკუსიას **„ საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების შესახებ“.**
დისკუსიაში მონაწილე ორივე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა იყოს თანაბარი.
სასურველია მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის პირისპირ განლაგდნენ.

რჩევები მასწავლებელს დისკუსიის მეთოდის გამოყენების დროს:

- დისკუსიის წარმატებული წარმართვისათვის მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს სადისკუსიო თემა და იგი საინტერესო უნდა იყოს სტუდენტებისთვის;
- სადისკუსიოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლექციასა თუ სემინართან დაკავშირებული ნებისმიერი თემა, რომლის შესახებაც განსხვავებული აზრი არსებობს;
- სადისკუსიო თემასთან დაკავშირებით სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი ცოდნა;

- სადისკუსიო თემის დამუშავების მიზნით, სტუდენტებს წინასწარ შეიძლება მიეთითოთ შესაბამისი ლიტერატურა;
- მასწავლებელმა წინასწარ, თავისთვის მკაფიოდ უნდა განსაზღვროს დისკუსიის ფორმატი: პოლემიკაში მონაწილეთა საუბრის რეგლამენტირება, აზრის გამომთქმელთა თანმიმდევრობა, მთავარი და დამაზუსტებელი შეკითხვების განსაზღვრა და ასეთი შეკითხვების დასმის დრო და ტექნიკა;
- დისკუსიის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს მასწავლებლის როლი - პირველ დისკუსიაზე იგი უნდა იყოს როგორც მოდერატორი, ასევე ფასილიტატორი. არ უნდა გამოირიცხოს შემდგომში ამ როლის სტუდენტების მიერ მონაცვლეობით შესრულება;
- მასწავლებელმა არ უნდა გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება პოლემიკაში მონაწილე მხარეების მიმართ - იგი უნდა იყოს ნეიტრალური;
- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს დისკუსიაში ყველა სტუდენტის აქტიური მონაწილეობა, პასიური სტუდენტები შეიძლება წახალისდნენ მათზე ფოკუსირებული შეკითხვების დასმით;
- სადისკუსიო კითხვები უნდა იწყებოდეს ასეთი სიტყვებით: „რატომ?“ და „როგორ?“ - არ უნდა იწყებოდეს: „ვინ?“, „სად?“, „როდის?“;
- სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ დასმულ შეკითხვაზე პასუხის მომზადების საშუალება;
- მნიშვნელოვანია სტუდენტებს გამოუმუშავდეთ დისკუსიის დროს საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გამოხატვის უნარი.
- მასწავლებელი ახდენს სტუდენტების განმავითარებელ შეფასებას დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ.

სასწავლო მასალის დემონსტრირების სქემა:

1.სასწავლო მასალის დემონსტრირება მოახდინეთ პროექტორის და მსოფლიოსა და საქართველოს ტურისტული რუკების საშუალებით

2. განათავსეთ საილუსტრაციო მასალა გამოსაჩენ ადგილზე აუდიტორიაში;

3. კომენტარი გაუკეთეთ თითოეულ რუკას;

4. გარკვეული დრო დაუთმეთ სტუდენტებს შორის აზრთა გაზიარებას;

5. უპასუხეთ სტუდენტების მიერ დასმულ კითხვებს.

დამოუკიდებელი სამუშაო

საწყისი ინფორმაცია: გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს

მსოფლიო ტურიზმის განვითარებაში. იგი ემსახურება ტურიზმის პოლიტიკის საკითხებს და გარკვეული წვლილი შეაქვს ტურიზმის მდგრად განვითარებაში.

დავალება: ეწვიეთ UNWTO -ს ვებგვერდს და მოიძიეთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რა სახით თანამშრომლობს UNWTO მის წევრებთან და „არაწევრებთან“;
2. რა როლს ასრულებს UNWTO საქართველოში ტურიზმის განვითარების საქმეში.

ვებ-გვერდი:
www.unwto.org

კითხვები განმავითარებელი შეფასებისათვის

1. რა არის ტურისტული რესურსები?
2. რა არის ბუნებრივი რესურსები?
3. საქართველოს დაცული ტერიტორიების კლასიფიკაცია
4. მსოფლიოს მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლები
5. რამდენი სახის დაცული ტერიტორია იცით?
6. როგორ ხდება საკვები ბალახების შენახვა?
7. რეგიონებში ტურიზმიდან მიღებული დადებითი შედეგებია:
8. რეგიონებში ტურიზმიდან მიღებული უარყოფითი შედეგებია:
9. რამდენ ტურისტულ რეგიონად იყოფა მსოფლიო?
10. რა ნიშნის მიხედვით ითვლება ევროპა მსოფლიო ტურიზმის ლიდერ რეგიონად?
11. რამდენ ტურისტულ რეგიონად იყოფა საქართველო?
12. დაახასიათეთ საქართველოს საკურორტო პოტენციალი
13. ტურიზმის რომელი მიმართულებების განვითარების შესაძლებლობები არსებობს საქართველოში რეგიონების მიხედვით?
14. განმარტეთ ტურისტული ინფრასტრუქტურა და მისი სექტორები

პრაქტიკული მეცადინეობა - პროდუქტი/შედეგი 1 (3 სთ)

მასწავლებელი სტუდენტებს პრეზენტაციის გამართვამდე 5-6 დღით ადრე აცნობს პრეზენტაციის თემებს და გამოსაყენებელ ლიტერატურას.

მომზადდება პრეზენტაცია ქვემოთ მოყვანილ თემებზე. თითოეულ პრეზენტაციას დაეთმობა 12-15 წუთი, შეკითხვებისა და პასუხებისთვის განკუთვნილი იქნება 5 წუთი.

სტუდენტთა მცირე ჯგუფები წარმოადგენენ პრეზენტაციას შემდეგი თემების მიხედვით:

1. ჩამოთვალეთ ტურისტული რესურსების ბუნებრივი და ხელოვნური სახეები
2. ჩამოთვალეთ მსოფლიოში არსებული ცნობილი ბუნებრივი და ხელოვნური რესურსები
3. ჩამოაყალიბეთ ინფრასტრუქტურის როლი ტურიზმში
4. განიხილეთ საქართველოს ერთერთი რეგიონო და აღწერეთ იქ განვითარებული ტურიზმის სახე.

პრეზენტაცია (შედეგი 3; 3,4)

დავალება

სტუდენტს დავალებად მიეცემა პრეზენტაციის მომზადება ***„საქართველოში არსებული ტურისტული რესურსებისა და ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა ტურიზმის ბიზნესში“***

გარემო *პროექტი სრულდება აუდიტორიაში, მასწავლებლის დაკვირვების ქვეშ. სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია პერსონალური კომპიუტერი, (შესრულების დრო 3 საათი)*

შეფასება მოხდება მასწავლებლის მხრიდან დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი განსაზღვრებით.

რჩევები მასწავლებელს პროდუქტი/შედეგის მეთოდის გამოყენების დროს:

- პრეზენტზციის წარმატებული წარმართვისათვის მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს საპრეზენტაციო თემა და იგი საინტერესო უნდა იყოს სტუდენტებისთვის;
- საპრეზენტაციოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლექციასა თუ სემინართან დაკავშირებული ნებისმიერი თემა, რომლის შესახებაც რაიმე მასალის კვლევაა საჭირო;
- საპრეზენტაციო თემასთან დაკავშირებით სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი ცოდნა;
- საპრეზენტაციო თემის დამუშავების მიზნით, სტუდენტებს წინასწარ შეიძლება მიეთითოთ შესაბამისი ლიტერატურა;

- მასწავლებელმა წინასწარ, მკაფიოდ უნდა აუხსნას სტუდენტებს, რომ პრეზენტაცია შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან: შესავალი (პრეზენტაციის მთავარი მიზნის გამოყოფა), ძირითადი და დასკვნითი (ინფორმაციის მიწოდების მოკლე შეჯამება) ნაწილებისაგან;
- მასწავლებელი აძლევს სტუდენტებს მარტივი რჩევას, რომ პრეზენტაციიდან გამოყონ ის თეზისები, რომლებიც მათი აზრით, უნდა დაამახსოვრდეს მსმენელს;
- მასწავლებელი განმარტავს, რომ სლაიდები გამოიყენონ მხოლოდ ილუსტრაციისათვის, საინტერესო პრეზენტაცია პირველ რიგში, თქვენი საინტერესო მოხსენება, ჟესტიკულაცია და ინტონაციაა. ვერავითარი სურათები და დიაგრამები ვერ მოუტანს წარმატებას ავტორს, თუ ის პრეზენტაციის დროს უმოქმედოდ იქნება;
- მასწავლებელი ურჩევს სტუდენტებს, რომ გამოიყენონ ლამაზი სლაიდები, რადგანაც ადამიანი ინფორმაციის 80%-ს ღებულობს მხედველობის საშუალებით. ბუნებრივია, თუ ინფორმაცია ლამაზად იქნება გაფორმებული, მისი მიღება გაცილებით უფრო მარტივი და სასიამოვნო იქნება;
  მასწავლებელმა უნდა მიუთითოს სტუდენტებს, რომ აუცილებელია მოკლედ ჩამოაყალიბონ მნიშვნელოვანი თეზისები და ისე დაიტანონ ისინი სლაიდებზე, რომ თითოეულმა დაიკავოს თანაბარი ადგილი. ასეთი ტექსტის წაკითხვა შედარებით სასიამოვნო იქნება მსმენელისათვის და ისინი კონცენტრირებულები იქნებიან სტუდენტის მოხსენებაზე;
- პრეზენტაციის მსვლელობისას უნდა გამოიყენონ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციები;
- სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ დასმულ შეკითხვაზე პასუხის მომზადების საშუალება;
- მნიშვნელოვანია სტუდენტებს გამოუმუშავდეთ პრეზენტაციის დროს საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გამოხატვის უნარი.

სწავლებისათვის საჭირო რესურსები, მასალები, ინსტრუმენტები

სასწავლო აუდიტორია, სადაც არსებობს ყველა ის მასალა და ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროა თეორიული კურსისა და პრაქტიკული სავარჯიშოების განსახორციელებლად.

რესურსები: საქართველოს, მსოფლიოს და ევროპის გეოგრაფიული, ადმინისტრაციული და პოლიტიკური რუკები; საქართველოს სხვადასხვა რეგიონების გზამკვლევები; თვალსაჩინოებები; საქართველოს ციხე-სიმაგრეების და კულტურული მემკვიდრეობის და საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკები.

მასალები: საკანცელარიო მასალები.

ინსტრუმენტები: კომპიუტერი, პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ფოტო-ვიდეო აპარატი.

ინტერნეტ რესურსი: www.dpa.gov.ge www.apa.gov.ge www.culture.ge

ცოდნის შეფასება 3.

მოდულის მესამე შედეგის შეფასება:

წარმოდგენილია მესამე შედეგების შეფასების ინსტრუმენტები.

ჯგუფი ემზადება პირველი შედეგის შეფასებისათვის და მასწავლებელმა უნდა შეახსენოს ჯგუფს მოდულის მესამე შედეგი თავისი შესრულების კრიტერიუმებით.

მტკიცებულებების შეგროვებას მასწავლებელი ახდენს სტუდენტების დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ. ასევე წერილობითი (ტესტების) და პრეზენტაციის საშუალებით.

იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი ვერ ახერხებს შედეგის მიღწევის დადასტურებას, მასთან განსახორციელებელია დამატებითი აქტივობები, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მასწავლებლის კონსულტაციებისა და სტუდენტის მიერ დამატებითი დამოუკიდებელი სამუშაოს საშუალებით. მასწავლებელი საშუალებას აძლევს სტუდენტს გავიდეს ხელახლა შეფასებაზე. შესაძლოა აღნიშნული შედეგი მან დაადასტუროს მტკიცებულებების შეგროვების მეორე ეტაპზეც.

მესამე სწავლის შედეგისათვის

სწავლის შედეგის შემეცნებითი უნარების შეფასება ხდება აუდიტორიაში, წერითი (ტესტები) გამოკითხვის მეთოდით.

დანართი 3.

კითხვა	*პასუხი*	
	დამაკმაყოფილებელი	არადამაკმაყოფილებელი
ტურისტული რესურსებია: ➢ ყველა იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომელთა საქმიანობაც ემსახურება მოგზაურობის დროს ტურისტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ➢ ბუნებრივი, ისტორიული, სოციალურ-კულტურული, საკურორტო და რეკრეაციული, სპორტული, გამაჯანსაღებელი და ა.შ. ობიექტები, რომელსაც შეუძლია ტურისტის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და სულიერი ძალების აღდგენა **საქართველოს კულტურული**		

მემკვიდრეობიდან იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა დაცვის სიაში შესულია: ➢ ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი; მცხეთის ისტორიული ძეგლები; ზემო სვანეთი, უშგულის თემი; ➢ უფლისციხე-კლდეში ნაკვეთი ქალაქი, კლდეში ნაკვეთი ლავრა - დავით გარეჯი, კლდეში სამონასტრო კომპლექსი - ვარძია.		
ბუნებრივი რესურსების ცნებაში იგულისხმება გეოგრაფიულ გარემოში არსებული ყოველივე ის: ➢ ბიოლოგიური, სათბობ-ენერგეტიკული და მინერალური რესურსების ერთობლიობა; ➢ რასაც ადამიანი იყენებს არსებობის საშუალებად (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით).		

რისთვის შეიქმნა ეროვნული პარკი ➢ ტურიზმის განვითარების ხელისშეწყობა და გარემოს დაცვა; რეკრეაციული საქმიანობის განსახორციელებლად ➢ მისი შექმნის მიზანია საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმაინობა		
რომელ დაცულ ტერიტორიაზე მდებარეობს ტახტი-თეფას ტალახოვანი ვულკანი ➢ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე ➢ ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე		
რისთვის შეიქმნა NTA (National Tour Association) - ეროვნული ტურიზმის ასოციაცია ➢ ტურისტული ინდუსტრიის ხელშეწყობის მიზნით ➢ ტურიზმის სფეროში ტურისტთა შემოსვლებისა და შემოსავლების		

სტატისტიკური აღრიცხვის მიზნით		
რა წარმოადგენს მსოფლიო დონის ტურისტულ რესურსებს ➢ კულტურული და ბუნებრივი რესურსების ერთობლიობა ➢ ეროვნული და ადგილობრივი დონის ტურისტული რესურსები		
რომელი ორგანიზაციის საქმიანობა ემსახურება მსოფლიოს ბუნებრივი და ხელოვნური რესურსების კლასიფიკაციას ➢ UNESCO გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო),((UNESCO,United Nations Educational, Scientific) ➢ ICOMOS - იკომოსი (კულტურულ ძეგლთა საერთაშორისო საბჭო)		

რა მნიშვნელობა ენიჭება დანიშნულების პუნქტის ტურისტულ ინფრასტრუქტურას ტურიზმის განვითარებისათვის ➢ ხელს უწყობს ტურისტთა რეკრეაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ➢ ხელს უწყობს ტურისტული დანიშნულების პუნქტამდე თავისუფალ გადაადგილებას		
ტურისტულ ინფრასტრუქტურაში მოიაზრება: ➢ ყველა იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომელთა საქმიანობაც ემსახურება მოგზაურობის დროს ტურისტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ➢ შენობათა კომპლექსი, საინჟინრო და საკომუნიკაციო ქსელები: სატელეკომუნიკაციო კავშირები, გზები, ტურისტული		

ინდუსტრიის მომიჯნავე საწარმოები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტთა ნორმალურ მიღწევას ტურისტულ რესურსებამდე.		

მესამე სწავლის შედეგის შეფასება ხდება სასწავლო აუდიტორიაში, როგორც პროცესზე დაკვირვებით, (მასწავლებელი აკვირდება სტუდენტის მუშაობას სწავლის შედეგით განსაზღვრული საკითხების შესრულების პროცესს).

შეფასება მოხდება მასწავლებლის მხრიდან დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი განსაზღვრებით,
დადებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გასცეს სწორი პასუხი 6 შეკითხვას, (მათ შორის საკვანძო შეკითხვებია 1, 3,7, 10).

მასწავლებელი ასევე შეაფასებს პროდუქტი/შედეგს (პრეზენტაციას), ზემოთ მითითებული კრიტერიუმების საფუძველზე.

პრეზენტაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით

მოდულის სახელწოდება „ტურიზმის ინდუსტრია“		კითხვებს გასცა პასუხი	
სტუდენტის სახელი და გვარი			
შემფასებლის/დამკვირვებლის სახელი და გვარი			
შეფასების კრიტერიუმი		კი	არა
რეფერატის შინაარსობივი მხარე სრულყოფილია და პრეზენტაციისას აუდიტორიასთან კონტაქტი მაღალია.			
საკითხი ზუსტადაა დასმული და გადმოცემულია ამომწურავად, ჩატარებულია ღრმა ანა-ლიზი და გაკეთებულია არგუმენტირებული დასკვნები.			
მაღალია რეფერატის ვიზუალური გაფორმება და სტუდენტი ამყარებს აუდიტორიასთან ურთიერთობას და ყველა კითხვაზე ავლენს საფუძვლიან ცოდნას.			
ვიზუალური მასალა წარმოდგენილია ხარვეზების გარეშე, გამდიდრებულია სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებიდან მოპოვებული მასალებით.			
პრეზენტაციის წარმოდგენისას იყენებს ვერბალურ და არავერბალურ საკომუნიკაციო საშუალებებს.			

მასწავლებელი ახდენს სტუდენტების განმავითარებელ შეფასებას პრეზენტაციის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე.

სწავლის შედეგი 4

ტუროპერატორისა და ტურისტული სააგენტოს საქმიანობის განსხვავება

ტუროპერატორის საქმიანობის (ბიზნესის) შემოღება განაპირობა მასობრივი ტურიზმის განვითარებამ დიდ მანძილზე და ტურისტული პროდუქტის გართულებამ (მოთხოვნა - მიწოდების გამრავალფეროვნებამ), რომლის დროსაც მოხდა ტურისტული კომპანიების სპეციალიზაცია: ერთი ჯგუფი ძალების კონცენტრირებას ახდენს მომსახურების პაკეტების ფორმირებაზე, ითვისებს ახალ რეგიონებს, ამუშავებს ტურიზმის ახალ მიმართულებებს - ფორმირებას უკეთებს ტუროპერეიტინგს, როგორც ახალ მიმართულებას სტურიზმის ბიზნესში; მეორე ჯგუფი - ძირითად ყურადღებას უთმობს ყიდვა-გაყიდვას და ჩამოყალიბდა როგორც ტურისტული სააგენტო.

IV შედეგის შესრულების კრიტერიუმები:

<u>მასწავლებლის მიმოხილვა:</u>

მასწავლებელი მიმოიხილავს, რომ ტურიზმის ბიზნესში კომერციული საქმიანობის წარმატება განისაზღვრება მიმზიდველი ტურისტული პროდუქტის შექმნით, რომლის ფორმირებაში ჩართული არიან ტუროპერატორები. ტუროპერატორულ საწარმოთა საქმიანობას სხვანაირად ტუროპერეტინგს უწოდებენ. ტუროპერეიტინგი არის ტურიზმის მენეჯმენტის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ტურისტული ფირმის საქმიანობის და ორგანიზაციის

საკითხებს.

ტუროპერატორი - ეს არის ტურისტული პაკეტის შემქმნელი. ის დაკავებულია ტურისტული მარშრუტების შემუშავებითა და ტურების დაკომპლექტებით; უზრუნველყოფს მათ ფუნქციონირებას, ორგანიზებას უკეთებს რეკლამას, აკეთებს მარშრუტების შესაბამის ხარჯთაღრიცხვებს და საზღვრავს მარშრუტების ფასებს, ყიდის ტურებს პირდაპირ ტურისტებზე ან ტურაგენტების მეშვეობით.

ტურისტული სააგენტო ანუ ტურაგენტი არის შუამავალი რგოლი ტუროპერატორსა და ტურისტს შორის, რომელიც ახორციელებს ტურისტული მომსახურების ან ტუროპერატორული კომპანიის მიერ წარმოებული ერთეული ტურისტული პროდუქტის რეალიზაციას.

IV შედეგის შესაბამისი თემატიკა:

1.1. <u>ტურაგენტისა და ტუროპერატორის როლი ტურისტულ ბაზარზე;</u>

ტუროპერტორისა და ტურაგენტის მთავარი საბაზრო როლად კლიენტი - ტურისტებისათვის მომსახურების (ზოგჯერ როგორც დროში, ისე ტერიტორიულად განცალკევებულის) მიმწოდებლების ერთმანეთთან დაკავშირება ითვლება. ეს არის ბიზნესის სპეციფიკური ტურისტული სახე. აქ მნიშვნელოვანია მომსახურების მომწოდებლების სწორი შერჩევა, რომელიც ტურისტული ბაზრის, ბიზნესის, მათი მართვისა და განვითარების თავისებურებებისა და ბერკეტების პროფესიონალურ ცოდნას ეფუძნება.

1.2. <u>ტურისტული სააგენტო;</u>

ტურისტული სააგენტო - არის შუამავალი ბიზნესი ან პიროვნება, რომელიც ტურისტული ინდუსტრიის ცალ-კეულ ნაწილებს ან ამ ნაწილების კომბინაციას აწვდის მომხმარებელს. მარკეტინგული თვალსაზრისით, ტურის-ტული აგენტი - ეს შუამავალი აგენტია, რომელიც კლიენტის სახელით მოქმედებს, ათანხმებს და აზუსტებს მგზავრობის დეტალებს ავიაკომპანიებთან, სასტუმროებთან, ტურის-ტულ ოპერატორებთან და საბოლოოდ ღებულობს საკომისიო თანხას მიმწოდებლებისაგან ან ანაზღაურებას

კლიენტებისაგან.

1.3. ტუროპერატორები;

ტუროპერატორი - ეს არის ტურისტული ტურისტული ფირმა (კომპანია ან იურიდიული პირი), რომელიც დაკავებულია ტურისტული მარშრუტების შემუშავებითა და დაკომპლექტებით; უზრუნველყოფს მათ ფუნქციონირებას; ორგანიზებას უკეთებს რეკლამას; აკეთებს მარშრუტების შესაბამის ხარჯთაღრიცხვებს და საზღვრავს მარშრუტების ფასებს; მონაწილეობს მომსახურების მომწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმებაში; ყიდის ტურებს პირდაპირ ტურისტებზე ან ტურაგენტების მეშვეობით.

1.4. ტუროპერატორების დაყოფა საქმიანობისა და საქმიანობის ადგილის მიხედვით

ტუროპერატორები საქმიანობის ფორმის შესაბამისად იყოფა: მასიური ბაზრის და სპეციალიზირებულ ოპერატორებად;

საქმიანობის ადგილის შესაბამისად: ადგილობრივი (შიდა), გამყვანი და მიმღებ ტუროპერატორებად;

ამასთან ერთად მიღებულია ტუროპერტორების დაყოფა ინიციატივიან და რეცეპტიულ ტუროპერტორებად.

სწავლის მეოთხე შედეგის დისკუსია

კოლეჯის აუდიტორიაში სტუდენტები გამართავენ დისკუსიას შემდეგ თემებზე:

- ტურისტული პროდუქტის მომხმარებელი რომ იყოთ, რატომ არ მიჰყიდდით თქვენს მომსახურებას პირდაპირ მომხმარებელს;
- **გაარჩიეთ ბიზნესსიტუაცია:** ცნობილმა ეროვნულმა გაზეთმა ახლახან თავის მკითხველს ურჩია გვერდი აევლოთ ადგილობრივი ტურისტული სააგენტოებისათვის და საკრუიზო ბილეთები პირდაპირ ტელეფონითა და ინტერნეტით დაეჯავშნათ. ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით ხალხი ფულის დაზოგვას შეძლებდა, რადგან, მისი

თქმით, საკრუიზო ხაზები ტურისტულ სააგენტოებს საკომისიოს უხდიდნენ გაყიდვების წარმოებისათანავე. რა არის არასწორი ამგვარ რჩევაში? - იმსჯელეთ

დისკუსიაში მონაწილე ორივე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა იყოს თანაბარი.

სასურველია მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის პირისპირ განლაგდნენ.

რჩევები მასწავლებელს დისკუსიის მეთოდის გამოყენების დროს:

- დისკუსიის წარმატებული წარმართვისათვის მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს სადისკუსიო თემა და იგი საინტერესო უნდა იყოს სტუდენტებისთვის;
- სადისკუსიოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ლექციასა თუ სემინართან დაკავშირებული ნებისმიერი თემა, რომლის შესახებაც განსხვავებული აზრი არსებობს;
- სადისკუსიო თემასთან დაკავშირებით სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი ცოდნა;
- სადისკუსიო თემის დამუშავების მიზნით, სტუდენტებს წინასწარ შეიძლება მიეთითოთ შესაბამისი ლიტერატურა;
- მასწავლებელმა წინასწარ, თავისთვის მკაფიოდ უნდა განსაზღვროს დისკუსიის ფორმატი: პოლემიკაში მონაწილეთა საუბრის რეგლამენტირება, აზრის გამომთქმელთა თანმიმდევრობა, მთავარი და დამაზუსტებელი შეკითხვების განსაზღვრა და ასეთი შეკითხვების დასმის დრო და ტექნიკა;
- დისკუსიის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს მასწავლებლის როლი - პირველ დისკუსიაზე იგი უნდა იყოს როგორც მოდერატორი, ასევე ფასილიტატორი. არ უნდა გამოირიცხოს შემდგომში ამ როლის სტუდენტების მიერ მონაცვლეობით შესრულება;
- მასწავლებელმა არ უნდა გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება პოლემიკაში მონაწილე მხარეების მიმართ - იგი უნდა იყოს ნეიტრალური;
- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს დისკუსიაში ყველა სტუდენტის აქტიური მონაწილეობა, პასიური სტუდენტები შეიძლება წახალისდნენ მათზე ფოკუსირებული შეკითხვების დასმით;
- სადისკუსიო კითხვები უნდა იწყებოდეს ასეთი სიტყვებით: „რატომ?“ და „როგორ?“ - არ უნდა იწყებოდეს: „ვინ?“, „სად?“, „როდის?“;
- სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ დასმულ შეკითხვაზე პასუხის მომზადების საშუალება;

- მნიშვნელოვანია სტუდენტებს გამოუმუშავდეთ დისკუსიის დროს საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გამოხატვის უნარი;
- მასწავლებელი ახდენს სტუდენტების განმავითარებელ შეფასებას დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ.

სასწავლო მასალის დემონსტრირების სქემა:

1. 1.სასწავლო მასალის დემონსტრირება მოახდინეთ პროექტორის და მსოფლიოსა და საქართველოს ტურისტული რუკების საშუალებით;
2. განათავსეთ საილუსტრაციო მასალა გამოსაჩენ ადგილზე აუდიტორიაში;
3. კომენტარი გაუკეთეთ თითოეულ რუკას;
4. გარკვეული დრო დაუთმეთ სტუდენტებს შორის აზრთა გაზიარებას;
5. უპასუხეთ სტუდენტების მიერ დასმულ კითხვებს.

დამოუკიდებელი სამუშო

ისარგებლეთ ინტერნეტ-საიტებით და მოიძიეთ ინფორმაცია: ,,**ქართული ტურისტული ორგანიზაციების შესახებ და გააკეთეთ დიფერენცირება ინიციატივიანი და რეცეპტიული ტუროპერტორების მიხედვით**”.

ვებ-გვერდები:

www.gnta.ge
www.idfi gov.ge
www.adjara.gov.ge
www.dfra.gov.ge
www.wikipedia.org

www.goodtravel.ge
www.turistulikompania.info

კითხვები განმავითარებელი შეფასებისათვის

1. რასთან არის დაკავშირებული ტურისტულ ბაზარზე ტუროპერატორის ბიზნესის წარმოშობა?
2. რა (ვინ) არის ტუროპერატორი?
3. რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ტუროპერატორი და ტურაგენტი?
4. რა არის ინიციატივიანი და რეცეპტიული ტუროპერატორი?
5. რა არის ტუროპერატორის ძირითადი ფუნქციები?
6. რა კვლევებს ატარებს ტუროპერატორი ტურისტული მარშრუტების დაგეგმვის ეტაპზე?
7. რაში მდგომარეობს ტურისტთა მოთხოვნილებების სპეციფიკა ასაკისგან დამოკიდებულებით?
8. კონკურენტუნარიანი გარემოს შესახებ ცნობების რომელ წყაროებს იყენებს თავის მუშაობაში ტუროპერატორი?
9. ტურისტული მარშრუტის დაგეგმვის ეტაპზე რომელ ელემენტებთნ ურთიერთქმედებს ტუროპერატორი?
10. როგორ შეუძლია ტუროპერატორს განახორციელოს საკუთარი პოზიციონირება ბაზარზე?
11. მომავალი ტურის ჩანაფიქრის ფორმირებისათვის რა მიდგომები არსებობენ?
12. დაასახელეთ ტუროპერატორის და ტურაგენტის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები.

პრაქტიკული დავალება 2 (3 სთ)

მასწავლებელი სტუდენტებს 5-6 დღით ადრე აცნობს პრაქტიკული დავალების თემებს და გამოსაყენებელ ლიტერატურას.

სტუდენტთა მცირე ჯგუფები მუშაობენ აუდიტორიაში კომპიუტერის დახმარებით და ახდენენ მრავალდღიანი ტურის დაგეგმვას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და აწარმოებენ სათანადო ხარჯთაღრიცხვას განთავსების, ტრანსპორტის, კვების და საექსკურსიო ხარჯების გათვალისწინებით.

რჩევები მასწავლებელს პრაქტიკული სამუშაოს ჩატარების შესახებ

- პრაქტიკული სამუშაოს წარმატებული წარმართვისათვის მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს მიმზიდველი ტურისტული რეგიონი, რომელიც საინტერესო იქნება სტუდენტებისთვის;
- ტურის დაგეგმვასთან დაკავშირებით სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი ცოდნა;
- პრაქტიკული დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, სტუდენტებს წინასწარ შეიძლება მიეთითოთ შესაბამისი ლიტერატურა;
- მასწავლებელმა წინასწარ, თავისთვის მკაფიოდ უნდა განსაზღვროს მომსახურების პროგრამა და ტურპაკეტის ფასი;
- მასწავლებელმა არ უნდა გამოხატოს პირადი დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ, იგი უნდა იყოს ნეიტრალური;
- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა სტუდენტის აქტიური მონაწილეობა, პასიური სტუდენტები შეიძლება წახალისდნენ მათზე ფოკუსირებული შეკითხვების დასმით;
- სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ მიმზიდველი ტურისტული პროდუქტის შექმნის უნარი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება მომსახურების შესაბამისი პროგრამით.
- მნიშვნელოვანია სტუდენტებს გამოუმუშავდეთ მომსახურების მომწოდებლების შერჩევის უნარი;
- სტუდენტს უნდა შეეძლოს ტურპაკეტის წარმატების საფუძველის - ტურპაკეტის ფასის განსაზღვრა, რომელიც გამოითვლება ტურის თვითღირებულებით და ემატება მოგების წილი;
- მასწავლებელი ახდენს სტუდენტების განმავითარებელ შეფასებას პრაქტიკული დავალების შესრულების შემდეგ, მათი მომზადების დონის, რომელიც განისაზღვრება ტურპაკეტის შექმნაში. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ.

სწავლებისათვის საჭირო რესურსები, მასალები, ინსტრუმენტები

სასწავლო აუდიტორია, სადაც არსებობს ყველა ის მასალა და ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროა თეორიული კურსისა და პრაქტიკული სავარჯიშოების განსახორციელებლად.

რესურსები: საქართველოს, მსოფლიოს და ევროპის გეოგრაფიული, ადმინისტრაციული და პოლიტიკური რუკები; საქართველოს სხვადასხვა რეგიონების გზამკვლევები; თვალსაჩინოებები; საქართველოს ციხე-სიმაგრეების და კულტურული მემკვიდრეობის და საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკები.

მასალები: საკანცელარიო მასალები.

ინსტრუმენტები: კომპიუტერი, პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ფოტო-ვიდეო აპარატი.

ინტერნეტ რესურსი: http//:*evergreencatalog.com/opac/extras/unapi*

ცოდნის შეფასება 4.

მოდულის მეოთხე შედეგის შეფასება:

წარმოდგენილია მეოთხე შედეგების შეფასების ინსტრუმენტები.

ჯგუფი ემზადება პირველი შედეგის შეფასებისათვის და მასწავლებელმა უნდა შეახსენოს ჯგუფს მოდულის მეოთხე შედეგი თავისი შესრულების კრიტერიუმებით.

მტკიცებულებების შეგროვებას მასწავლებელი ახდენს სტუდენტების დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ. ასევე წერილობითი (ტესტების) და პრაქტიკული დავალების საშუალებით.

იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი ვერ ახერხებს შედეგის მიღწევის დადასტურებას, მასთან განსახორციელებელია დამატებითი აქტივობები, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მასწავლებლის კონსულტაციებისა და სტუდენტის მიერ დამატებითი დამოუკიდებელი სამუშაოს საშუალებით. მასწავლებელი საშუალებას აძლევს სტუდენტს გავიდეს ხელახლა შეფასებაზე. შესაძლოა აღნიშნული შედეგი მან დაადასტუროს მტკიცებულებების შეგროვების მეორე ეტაპზეც.

მეოთხე სწავლის შედეგისათვის

სწავლის შედეგის შემეცნებითი უნარების შეფასება ხდება აუდიტორიაში წერითი (ტესტები) გამოკითხვის მეთოდით.

კითხვა	*პასუხი*	
	კი	*არა*
რა არის ტუროპერეიტინგი ➢ ტურიზმის მენეჯმენტის ნაწილი, რომელიც შეისწავლის, ტურისტული ფირმის საქმიანობის და ორგანიზაციის საკითხებს ➢ ტურიზმის სფეროში საწარმოთა კომერციული საქმიანობა ტურისტულ მომსახურებათა კომპლექსის შექმნისა და რეალიზაციისთვის საბოლოო პროდუქტის (ტურის) სახით. ➢ ორივე პასუხი სწორია ➢ სწორია მხოლოდ მეორე პასუხი		
როგორი ურთიერთგავლენა აქვს ტურისტული საწარმოს საქმიანობასა და მოთხოვნის ბაზარს შორის ➢ ადამიანთა იდეების, განზრახვების, გემოვნებებისა და ყიდვისუნარიანობის გამოვლენა ტურის დაგეგმვისა და ფორმირების პროცესში ➢ კონკურენციის საწინააღმდეგო ზომების მიღება და კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნა ➢ მიმწოდებლების შესწავლა და და არჩევანის გაკეთება კონკურენტული ტურის დასამუშავებლად ➢ ტურსაწარმოს ურთიერთქმედება საზოგადოებრივ და პროფესიულ გაერთიანებებთან		
რასთან არის დაკავშირებული ტურისტულ ბაზარზე ტუროპერატორის ბიზნესის წარმოშობა ➢ ტურისტთა მოთხოვნილებების გაზრდასთან ➢ მასობრივი ტურიზმის განვითარებამ დიდ მანძილზე და ტურისტული პროდუქტის გართულებამ, რომლის დროსაც მოხდა ტურისტული კომპანიების სპეციალიზაცია: ერთი ჯგუფი ძალების კონცენტრირებას ახდენს მომსახურების პაკეტების ფორმირებაზე, მეორე ჯგუფი ძირითად ყურადღებას უთმობს ყიდვა-გაყიდვას ➢ საერთაშორისო ტურიზმის განვითარებამ ➢ საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის გაყვანის პროცესისათვის მატერიალური მხარდაჭერისა და მსხვილი, კონსოლიდირებული ადგილობრივი ტუროპერატორების არარსებობის აუცილებლობამ, რომლებიც შეძლებდნენ ქვეყნის იმიჯის შექმნას საერთაშორისო ბაზარზე		
როგორია ეკონომ-კლასის კლიენტების მომსახურების სურვილები ➢ ეკონომიის სურვილი, მაგრამ არა შეძენილი მომსახურების ხარისხის ხარჯზე ➢ საექსკურსიო მომსახურების და კვების გარეშე მოგზაურობის შესაძლებლობა ➢ შეკვეთილი ინდივიდუალური ტურების და მარშუტების განხორციელება		

➢ კონფიდენციალობა		
რა არის „ინკლუზივ ტური“ ➢ წინასწარ განსაზღვრული, მკაცრად ჩამოყალიბებული მომსახურების ნაკრები, რომელიც გაყიდვის შემთხვევაშიც არ იცვლება ➢ დამატებითი მომსახურების ნაკრები, რომელთაც ტურისტი იძენს პაკეტის გარეთ, უშუალოდ დასვენების ადგილზე ➢ ტურისტის სურვილისამებრ შედგენილი ტურისტული მომსახურების პაკეტი ➢ ტურისტის მონაწილეობა მომსახურების პაკეტის კომპლექტაციაში		
რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ტუროპერატორი და ტურაგენტი ➢ შემოსავლების სისტემის მიხედვით ➢ ტურისტული პროდუქტის კუთვნილების მიხედვით ➢ ორივე პასუხი ერთად სწორია ➢ სწორია მხოლოდ პირველი პასუხი		
ტუროპერატორის ძირითადი ფუნქციებია: ➢ მაკომპლექტებელი, სერვისული და საგარანტიო ➢ ტურისტული პროდუქტის გაყიდვის ორგანიზაცია ვაჭრობის თანამედროვე მეთოდების შესაბამისად, ასევე ბაზრის სპეციფიკისა და თავისებურებების გამოყენება ➢ მოგზაურობის შესახებ ინფორმაციის წინ წამოწევა რეკლამის მეშვეობით ➢ დასვენებისა და მოგზაურობის შესაძლებლობების სრული და ფართო გაშიქება ყველა არსებული ტურის, კურორტის, ტურისტული ცენტრისა და სხვ. მიხედვით		
ტურისტული სააგენტოს ფუნქციებია: ➢ დასვენებისა და მოგზაურობების შესაძლებლობების სრული და ფართო გაშუქება ყველა არსებული ტურის, კურორტის, ტურისტული ცენტრისა და სხვ. მიხედვით ➢ მოგზაურობათა შესახებ ინფორმაციის წინ წამოწევა რეკლამის მეშვეობით ➢ ტურისტული პროდუქტის გაყიდვის ორგანიზაცია ვაჭრობის თანამედროვე მეთოდების შესაბამისად, ასევე ბაზრის სპეციფიკისა და თავისებურებების გამოყენება ➢ ყველა პასუხი ერთად სწორია		

საქმიანობის ადგილის მიხედვით ტუროპერატორები იყოფიან: ➢ ტუროპეარტორები, რომლებიც ტურპაკეტების ორიენტირებას ახდენენ ქვეყნის ფარგლებში დანშნულების მიხედვით ➢ ტუროპერატორები, რომლებიც ტურპაკეტების ორიენტირებას ახდენენ საზღვარგარეტის ქვეყნებში ➢ ტუროპერატორები, რომლებიც ფუძნდებიან დანიშნულების ადგილზე და ემსახურებიან ჩამოსულ უცხოელ ტურისტებს სხვა ოპერატორებისა და აგენტების სასარგებლოდ ➢ ყველა პასუხი ერთად სწორია		
ტურისტული სააგენტოს და ტუროპერტორის თანამშრომლობის და ურთიერთობის ფორმებს წარმოადგენს: ➢ ტუროპერატორი შეიმუშავებს ტურისტულ მარშრუტებს, მომსახურების მომწოდებლების ურთიერთქმედების მეშვეობით, ამარაგებს მათ მომსახურებით, უზრუნველყოფს ტურების ორგანიზებას და მომსახურების შეთავაზებას, თავისი ტურის შესახებ ამზადებს სარეკლამო-საინფორმაციო გამოცემას, ითვლის ტურის ფასებს, გადასცემს ტურაგენტს ტურისტისათვის შემდგომი რეალიზაციის მიზნით ➢ ტუროპერატორის და ტურაგენტის თანამშრომლობის და ურთიერთობის ძირითად ფორმებს წარმოადგენს: მაკომპლექტებელი, სერვისული და საგარანტიო მომსახურების გაწევა ➢ მომსახურების მომწოდებლებთან დიფერენცირებული მიდგომა ➢ ტურების გაყიდვა, საკომისიო პირობებზე დაფუძნებით		
ტუროპერატორსა და ტურისტულ სააგენტოს შორის ყიდვა-გაყიდვის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაში ტუროპერატორის ვალდებულებაა: ➢ გადასცეს ტურაგენტს (მყიდველს) საქონელზე (ტურის პაკეტი, ან ტურისტული მომსახურების ცალკეული სახეების ნაკრები) საკუთრების უფლება ➢ გადასცეს ტურაგენტს (მყიდველს) ტურის პაკეტის შექმნის უფლება ➢ ორივე პასუხი ერთად სწორია ➢ ფორს-მაჟორის პირობებში აანაზღაუროს სრული ზარალი		
მომსახურების კომპლექსის სტანდარტიზაციის მიხედვით რა ღირსებები გააჩნია პეკიჯ-ტურებს ინდივიდუალურ ტურებთან შედარებით ➢ ტურისტული საწარმოს მაღალი შემოსავალი ერთ ტურისტზე გადაანგარიშებით ➢ ტურისტის მონაწილეობა მომსახურების პაკეტის კომპლექტაციაში		

მეოთხე სწავლის შედეგის შეფასება ხდება სასწავლო აუდიტორიაში ტესტირების სახით, როგორც პროცესზე დაკვირვებით, (მასწავლებელი აკვირდება სტუდენტის მუშაობას სწავლის შედეგით განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში) და ასევე პრაქტიკულ სამუშაოზე დაკვირვებით.

შეფასება მოხდება მასწავლებლის მხრიდან დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი განსაზღვრებით, დადებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გასცეს სწორი პასუხი 6 შეკითხვას (მათ შორის საკვანძო შეკითხვებია 1, 3, 6, 7, 8).
პრაქტიკული სამუშაოს შემთხვევაში მასწავლებელი ახდენს შეფასებას დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი განსაზღვრებით. დადებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა სწორედ უნდა შექმნას მიმზიდველი ტურისტული პროდუქტი, რომელიც განისაზღვრება ტურპაკეტის ხარისხითა და ფასით.

სწავლის შედეგი 5

ტურიზმის სფეროში არსებული განთავსების საშუალებების დახასიათება

ტურიზმი ადამიანის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დროებით შეცვლასთანაა დაკავშირებული, აქედან გამომდინარე, განთავსების მომსახურება მისი აუცილებელი კომპონენტია.

არსებობს განთავსების სტანდარტული და არასტანდარტული საშუალებები. სტანდარტული საშუალებაა - სასტუმრო, არასტანდარტულია - კარავი, კემპინგი, ბუნგალო.

V შედეგის შესრულების კრიტერიუმებია:

<u>მასწავლებლის მიმოხილვა:</u>

მოგზაურებისათვის ღამის გასათევი ადგილის შეთავაზება უძველესი დროიდან იღებს სათავეს. სტუმრებისათვის განკუთვნილი ოთახები კერძო საცხოვრებლების უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო.

ტურიზმი ადამიანის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დროებით შეცვლასთანაა დაკავშირებული, აქედან გამომდინარე, განთავსების მომსახურების აუცილებელი კომპონენტია.

V შედეგის შესაბამისი თემატიკა:

5.1. სასტუმროების განვითარების ეტაპები;

პირველი სასტუმროები მოგზაურთათვის შორეულ წარსულში წარმოიშვა 2000 წლის წინ ჩვენს ერამდე.

II-I - ათასწლეული ჩვენს ერამდე - ტავერნები, ქარავან-სარაიები

I-V - რომის იმპერიის დაშლის შედეგად განადგურდა სასტუმროთა და ტავერნათა ქსელი

V-XIII- ევროპაში აღმოცენდა სასტუმროები მონასტრებთნ, კარლოს დიდის ორგანიზაციით

XIX - ევროპასა და ამერიკაში სამრეწველო რევოლუციის შედეგად დასვენებისათვის შენდებოდა სასტუმროები და იქმნებოდა სასტუმროთა კორპორაციები და სინდიკატები

XX ს-ის 50-60 -იანი წლები - მთელ მსოფლიოში აშენდა მსხვილი სასტუმროები - „ჰილტონი“, „ინტერ-კონტინენტალი“ და ა.შ. აღმოცენდა საოჯახო სასტუმროები, მოეწყო სამორინეები და სათამაშო სახლები

XXI ს-ის დასაწყისი - ბაზრის სეგმენტაცია, სპეციალიზირებული ოტელები, აშენდა და მოდერნიზებული იქნა სუპერ-ოტელები.

5.2. სასტუმროებისა და განთავსების საშუალებების თანამედროვე ტიპოლოგია და კლასიფიკაცია;

თანამედროვე განთავსების საშუალებების სახეობები ასეთია:

- ოტელ-ლუქსი - მცირე ან საშუალო ზომის სასტუმრო მაღალკვალიფიცირებული მომსახურე პერსონალით;
- სასტუმრო-აპარტამენტი - პატარა ან საშუალო ზომის სასტუმრო. ნომრები ბინების ტიპის არის და გამოიყენება ხანგრძლივი ბინადრობისათვის;

- ეკონომ-კლასი - სასტუმრო შეზღუდული მომსახურებით;
- მოტელი - გზისპირა სასტუმრო ავტო-მოტო ტურისტებისათვის;
- როტელი - მოძრავი სასტუმრო, რომელიც მოწყობილია ვაგონებში;
- ფლოტელი - მოძრავი მცურავი სასტუმრო წყალზე;
- ბუნგალო - მცირე ზომის ობიექტი, რომელიც გავრცელებულია ახალგაზრდულ ტურისტულ ცენტრებში;
- კემპინგი - ბანაკი ავტო, მოტო, ველო ტურისტებისათვის და ა.შ.

5.3. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება საქართველოში.

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო დასერილი იყო საქარავნო გზებით. ამ გზებზე ფუნქციონირებდნენ დასასვენებელი სახლები სხვადასხვა სახელწოდებით, როგორიცაა: იამი, მანძილი, ასპიძა, მილიონი, ფუნდუკი, ქარვასლა, სასვენია, ხანი, სამადლო.
1850-1855 წლებში თბილისში 13 დიდი ქარვასლა იყო, სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ ქარვასლებმა დაკარგა თავისი დანიშნულება.

მე-19 საუკუნის ბოლოდან დაიწყო სპეციალურად სასტუმროებისათვის განკუთვნილი შენობების აგება, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში არსებობდა შემდეგი სახელწოდებით: „გრანდ-ოტელი“, „ზალცმანი“, „ლონდონი“, „პარიზი“, „კავკაზი“, „როსია“, „მაჟესტიკი“, „ევროპეისკიე ნომერა“, „ვეტცელი“ და სხვ.,
იმდროინდელი სასტუმროთა რაოდენობა კი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს სასტუმრო ბაზარზე იყო მოთხოვნაც და მიწოდებაც, ხოლო სასტუმროების სახელწოდებები იმაზე მეტყველებს, რომ მფლობელები უთუოდ ცდილობდნენ, რომ მიეცათ მომხმარებლისათვის მომსახურების მაღალი ხარისხის გარკვეული გარანტია.

სასწავლო მასალის დემონსტრირების სქემა:

1.სასწავლო მასალის დემონსტრირება მოახდინეთ პროექტორის და მსოფლიოსა და საქართველოს ტურისტული რუკების საშუალებით
2. განათავსეთ საილუსტრაციო მასალა გამოსაჩენ ადგილზე აუდიტორიაში;
3. კომენტარი გაუკეთეთ თითოეულ რუკას;
4. გარკვეული დრო დაუთმეთ სტუდენტებს შორის აზრთა გაზიარებას;
5. უპასუხეთ სტუდენტების მიერ დასმულ კითხვებს.

დამოუკიდებელი სამუშაო

ისარგებლეთ ინტერნეტსაიტებით და მოიძიეთ ინფორმაცია:

” მსოფლიოში ფეშენებლური და ეგზოტიკური სასტუმროების მომსახურების განსაკუთრებული ელემენტების შესახებ“.

ვებ გვერდები:

http://hotels.com

http://www.hotelstars.com

http://www.hihostels.com

http://www.marriott.com

http://www.maldives.com

http://www. cp.ge/ge/statiacci.php?ID=8148

http:// www. ka.djerbatourisme.com/.../193-hotel-carribean-world

სწავლის მეხუთე შედეგის დისკუსია

კოლეჯის აუდიტორიაში სტუდენტები გამართავენ დისკუსიას შემდეგ თემაზე:

- იმსჯელეთ თბილისში არსებულ განთავსების საშუალებებზე

- **გაარჩიეთ ბიზნეს-სიტუაცია:** საკურორტო სასტუმრო, რომელიც მდებარეობს ქალაქის ისტორიულ ნაწილში, საკვებისა და სასმელების მენეჯერმა მომსახურე პერსონალს ურჩიათ, რომ ზუსტად ისეთი სამოსი სცმოდათ, როგორსაც იმ პერიოდში ატარებდნენ. პერსონალის ნაწილმა არ მიიღო ეს იდეა და ჩათვალა, რომ ცუდი აზრი იყო, რადგან მსგავსი კოსტიუმები არაკომფორტული იქნებოდა. რა რეაქცია უნდა ჰქონოდა მენეჯერს? - იმსჯელეთ

დისკუსიაში მონაწილე ორივე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა იყოს თანაბარი.

სასურველია მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის პირისპირ განლაგდნენ.

რჩევები მასწავლებელს დისკუსიის მეთოდის გამოყენების დროს:

- დისკუსიის წარმატებული წარმართვისათვის მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს სადისკუსიო თემა და იგი საინტერესო უნდა იყოს სტუდენტებისთვის;
- სადისკუსიოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ლექციასა თუ სემინართან დაკავშირებული ნებისმიერი თემა, რომლის შესახებაც განსხვავებული აზრი არსებობს;
- სადისკუსიო თემასთან დაკავშირებით სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი ცოდნა;
- სადისკუსიო თემის დამუშავების მიზნით, სტუდენტებს წინასწარ შეიძლება მიეთითოთ შესაბამისი ლიტერატურა;
- მასწავლებელმა წინასწარ, თავისთვის მკაფიოდ უნდა განსაზღვროს დისკუსიის ფორმატი: პოლემიკაში მონაწილეთა საუბრის რეგლამენტირება, აზრის გამომთქმელთა თანმიმდევრობა, მთავარი და დამაზუსტებელი შეკითხვების განსაზღვრა და ასეთი შეკითხვების დასმის დრო და ტექნიკა;
- დისკუსიის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს მასწავლებლის როლი - პირველ დისკუსიაზე იგი უნდა იყოს როგორც მოდერატორი, ასევე ფასილიტატორი. არ უნდა გამოირიცხოს შემდგომში ამ როლის სტუდენტების მიერ მონაცვლეობით შესრულება;
- მასწავლებელმა არ უნდა გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება პოლემიკაში მონაწილე მხარეების მიმართ - იგი უნდა იყოს ნეიტრალური;
- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს დისკუსიაში ყველა სტუდენტის აქტიური მონაწილეობა, პასიური სტუდენტები შეიძლება წახალისდნენ მათზე ფოკუსირებული შეკითხვების დასმით;
- სადისკუსიო კითხვები უნდა იწყებოდეს ასეთი სიტყვებით: „რატომ?“ და „როგორ?“ - არ უნდა იწყებოდეს: „ვინ?“, „სად?“, „როდის?“
- სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ დასმულ შეკითხვაზე პასუხის მომზადების საშუალება;
- მნიშვნელოვანია სტუდენტებს გამოუმუშავდეთ დისკუსიის დროს საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გამოხატვის უნარი;
- მასწავლებელი ახდენს სტუდენტების განმავითარებელ შეფასებას დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ.

კითხვები განმავითარებელი შეფასებისათვის

1. რას წარმოადგენს სასტუმრო?
2. რამ განაპირობა განთავსების არასტანდარტული საშუალებების განვითარება?
3. დაახასიათეთ სასტუმროების ძირითადი ტიპები
4. აღწერეთ სასტუმროში კვების მომსახურების სახეები
5. სასტუმროებში რა ძირითადი სამსახურები არსებობს?
6. რას უწოდებენ როტელს და ბოტელს?
7. როგორი ტიპის სასტუმროა ჰოსტელი?
8. ნომრების რა კატეგორიაა თქვენთვის ცნობილი?
9. დაახასიათეთ სასტუმროს მართვის ზოგადი სტრუქტურა
10. როგორ შეუძლია ტუროპერატორს განახორციელოს საკუთარი პოზიციონირება ბაზარზე?
11. რა ერქვა უძველეს დროში საქართველოში სასტუმროს ტიპის სახლებს?

ცოდნის შეფასება 5

მოდულის მეხუთე შედეგის შეფასება:

წარმოდგენილია მეხუთე შედეგების შეფასების ინსტრუმენტები.

ჯგუფი ემზადება მეხუთე შედეგის შეფასებისათვის და მასწავლებელმა უნდა შეახსენოს ჯგუფს მოდულის მეხუთე შედეგი თავისი შესრულების კრიტერიუმებით.

მტკიცებულებების შეგროვებას მასწავლებელი ახდენს სტუდენტების დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ. ასევე წერილობითი (ტესტების) და პრაქტიკული დავალების საშუალებით.

იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი ვერ ახერხებს შედეგის მიღწევის დადასტურებას, მასთან განსახორციელებელია დამატებითი აქტივობები, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მასწავლებლის კონსულტაციებისა და სტუდენტის მიერ დამატებითი დამოუკიდებელი სამუშაოს საშუალებით. მასწავლებელი საშუალებას აძლევს სტუდენტს გავიდეს ხელახლა შეფასებაზე. შესაძლოა აღნიშნული შედეგი მან დაადასტუროს მტკიცებულებების შეგროვების მეორე ეტაპზეც.

მეხუთე სწავლის შედეგისათვის

სწავლის შედეგის შემეცნებითი უნარების შეფასება ხდება აუდიტორიაში, წერითი (ტესტები) გამოკითხვის მეთოდით

დანართი 5.

კითხვა	*პასუხი*	
	დამაკმაყოფილებელი	**არადამაკმაყოფილებელი**
რომელ წელს და სად აშენდა პირველი სასტუმრო ➢ საფრანგეთში, ქ.ნანტში 1788 წელს ➢ ინგლისში, ლივერპულში 1650 წელს		
სასტუმროს ძირითადი ტიპებია: ➢ მცირე, საშუალო და მსხვილი სასტუმროები ➢ სასტუმროები ქალაქის ცენტრში და გზისპირა		
ვისთვის არის გათვალისწინებული სასტუმრო - მოტელი ➢ ავტო-მოტო ტურისტებისათვის ➢ ნავებითა და იახტებით მოგზაურთათვის		
რა ერქვა ჩვენს ერამდე II-I ათასწლეულში განთავსების საშუალებებს ➢ ქარავან-სარაიები, ტავერნები ➢ ქარავან-სარაიები, ქარვასლები		
როდის აღმოცენდა სასტუმროები მონასტრებთან, კარლოს დიდის ორგანიზაციით ➢ V-XIII შუა საუკუნეებში ➢ I-V სს. რომის იმპერიის დაცემის პერიოდი		

სასტუმრო „ მაჟესტიკის“ (ახლანდელი „თბილისი მარიოტის“) ავტორი-არქიტექტორი: ➢ ოზეროვი. ➢ ზალცმანი.		
დასასვენებელ სასტუმროებში მოთხოვნები განისაზღვრება ფუნქციებით: ➢ ტურისტთა დასვენებისა და გართობის უზრუნველყოფა. ➢ თათბირებისა და მოლაპარაკების სათავსების მოწყობა.		
როგორი ტიპის სასტუმროა ჰოსტელი ➢ ახალგაზრდული ტიპის სასტუმრო, მინიმალური კომფორტით ➢ მცირე ზომის სასტუმრო წყალზე		
დაახასიათეთ სასტუმროს მართვის ზოგადი სტრუქტურა ➢ მიღებისა და განთავსების, კვების, უსაფრთხოების, ნომრის ფონდის ექსპლუატაციის, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ➢ მიღებისა და განთავსების, კვების, უსაფრთხოების, საექსკურსიო-სამუზეუმო, სადაზღვევო სამსახური		
სასტუმრო ნომრების რაოდენობის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპებით გამოირჩევა შემდეგი რეგიონი ➢ დასავლეთი ევროპა ➢ ამერიკა		

რა მიეკუთვნება განთავსების არასტანდარტულ სახეებს ➢ როტელი, მოტელი, ბოტელი, ფლოტელი ➢ კარავი, ბუნგალო, კემპინგი		

სწავლის მეხუთე შედეგის შეფასება ხდება სასწავლო აუდიტორიაში, როგორც პროცესზე დაკვირვებით, (მასწავლებელი აკვირდება სტუდენტის მუშაობას სწავლის შედეგით განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში), ასევე შედეგის შეფასებით.

შეფასება მოხდება მასწავლებლის მხრიდან დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი განსაზღვრებით, დადებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გასცეს სწორი პასუხი 6 შეკითხვას, (მათ შორის საკვანძო შეკითხვებია 2, 4, 7,9).

სწავლის შედეგი *6*

ტურიზმის სფეროში გამოყენებადი სატრანსპორტო საშუალებებისა და სატრანსპორტო მომსახურების აღწერა

ტურიზმი და ტრანსპორტი განუყოფელნი არიან. ვინაიდან ტურიზმი ნიშნავს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას, ხოლო ტრანსპორტი საცხოვრებელ გარემოსა და დესტინაციას შორის ხიდს წარმოადგენს.

ისტორიულად ტრანსპორტი ტურიზმთან ერთად განვითარდა. ტრანსპორტის განვითარებამ მოახდინა ტურიზმის წინსვლის სტიმულირება და, პირიქით, ტურისტულმა მოთხოვნილებებმა გამოიწვია ტრანსპორტის ისეთი მომსახურების აღმოცენება, როგორიც არის დასვენების ბაზრებისთვის საჭირო ჩარტერული საჰაერო სერვისი. ტრანსპორტმა გაზარდა ტურისტული დესტინაციების მისადგომობა ტურისტების გენერატორი რეგიონებიდან. ტურიზმი ძირითადად მისადგომობაზეა დამოკიდებული. რეალობაში ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის მისადგომობა/მიუდგომლობა, ხელს უწყობს/უშლის დესტინაციის განვითარებას. ტრანსპორტი ტურიზმში ახდენს გარკვეული სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების მოზიდვას და წარმოადგენს ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელოვან სექტორს დასაქმებისა და მიღებული შემოსავლების თვალსაზრისით. ამასთან, ტურიზმი თვითონაც იცვლება და თავის მხრივ ცვლის მსოფლიო კომუნიკაციების რუკასაც.

გარდა ამისა, ტრანსპორტი თავისთავად წარმოადგენს მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს, რომელიც სცილდება ტურიზმის ფარგლებს და დიდ გავლენას ახდენს ყოველდღიური ცხოვრების ასპექტებზე.

VI შედეგის შესრულების კრიტერიუმებია:

<u>მასწავლებლის მიმოხილვა:</u>

მასწავლებელი განმარტავს, რომ ტრანსპორტი წარმოადგენს ტურისტული პროდუქტის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, რომელსაც დიდი როლი აკისრია ადამიანთა უსაფრთხო გადაადგილების საქმეში. მიმოიხილავს ტრანსპორტის განვითარების ისტორიას, ტრანსპორტის საშუალებების კლასიფიკაციას: სახმელეთო, საზღვაო და საჰერო გადაადგილების საქმეში; სატრანსპორტო რეგულირებას და ტრანსპორტის ზეგავლენას გარემოზე.

მასწავლებელი აგრეთვე აძლევს ინფორმაციას, რომ ადამიანებისათვის დამახასიათებელია მოგზაურობა, თავგადასავლების ძიება, ახლის შეცნობა და დროდადრო ადგილსამყოფელის შეცვლა. დასახული მიზნებისათვის იგი მიემგზავრება სხვადასხვა ადგილებში. გადაადგილების თავისუფლება კი მოგზაურობის თავისუფლების ფუნდამენტია. ეს თავისუფლება ადამიანისათვის აუცილებელია ტურიზმისა და ურთიერთობების ჰარმონიული განვითარებისათვის.

ტრანსპორტი ტურისტული პროდუქტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. გადაადგილების თითოეული საშუალება და ამ საშუალების გამოყენების მეთოდი გამოსადეგია ტურისტული პროდუქტისა და ტურების ფორმირებისათვის მათი მიმართულების, მიზნებისა და ადგილმდებარეობის განსასაზღვრავად და წარმოადგენს ტურისტული საქმიანობის საგანს.

ტრანსპორტის უდიდესი მნიშვნელობა მოგზაურობისა და ტურიზმისათვის ოთხი ძირითადი მახასიათებლით განისაზღვრება:

- ტურიზმი თავისთავად გადაადგილებაა;
- ტრანსპორტი წარმოადგენს ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს;
- ტურიზმის ინდუსტრიის შემადგენელ კომპონენტებს ბევრი რამ აქვთ საერთო;

სატრანსპორტო მომსახურების ხარისხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოგზაურობისას.

VI შედეგის შესაბამისი თემატიკა:

6.1. <u>მომსახურების ადგილი და როლი ტურისტულ ბიზნესში;</u>

ტურისტების მოგზაურობისას მათ მომსახურებაში მრავალი ორგანიზაცია იღებს მონაწილეობას. ტუროპერტორის ორგანიზაციულ-მაკომპლექტებელი როლი, სწორედ მომსახურების მომწოდებელთა შერჩევაა, რომელთ შორის სატრანსპორტო მომსახურება ერთ-ერთი ძირითადია. სწორედ მათზე მოდის ტურის ფასის სტრუქტურაში ძირითდი ხვედრითი წილი. მოგზაურობის ხანგრძლივობისა და სიშორის შესაბამისად ეს წილი მერყეობს 20-დან 60%-მდე. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეები ტურისტული ორგანიზაციების მიერ გამოიყენება ტურისტების გადაყვანისათვის მოგზაურობის დროს. ტრანსპორტის აღნიშნული სახეებია: საჰაერო, სახმელეთო და საწყალოსნო ტრანსპორტი.

6.2 <u>.ტრანსპორტის განვითარების ისტორია და ტურიზმი;</u>



თომას კუკი

ჯორჯ სტეფენსონი

უილბურ რაიტი

ორვილ რაიტი

მოგზაურობის განვითარების ისტორიაში თავდაპირველად, გზის ფუნქცია მდინარეებს ჰქონდა აღებული. ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა ერთ ხეში ამოთლილ ნავს, ხოლო დროთა განმავლობაში დაეუფლა დიდი ხომალდების აგების ხელოვნებას. ბერძნულ-რომაულ სამყაროში დიდი მნისვნელობა შეიძინა ხმელთაშუა ზღვამ, რომელშიც მიმოსვლის მთავარი გზები გადიოდა. აქედან მოყოლებული ათასწლეულების მანძილზე გადაადგილების ძირითად საშუალებად სხვადასხვა სახეობის ეტლი და საზიდარი რჩებოდა. რადიკალური ძვრები ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფერო შეეხო და ტურიზმის ისტორიაშიც ახალი ეპოქა იწყება. ასეთი ძვრების ერთ-ერთი წინაპირობა სატრანსპორტო რევოლუცია იყო. ჯერ ფლუტონის მიერ 1807 წელს ორთქლმავალი გემის, შემდეგ 1841 წელს სტეფენსონის მიერ ორთქლმავალის გამოგონებამ ადამიანთა და მოგზაურთა ყოფა ძირეულად შეცვალა.

მასობრივი ტურიზმის განვითარებისათვის კიდევ უფრო რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა რკინიგზის გაყვანას.

1843 წელს თომას კუკმა მოახდინა პირველი ორგანიზებული სარკინიგზო მოგზაურობა ლესტერიდან ლაფბოროში, რამაც საფუძველი ჩაუყარა მასობრივი და ორგანიზებული ტურიზმის განვითარებას.

XX საუკუნის II ნახევრის დასაწყისში საავტომობილო ბუმს მსუბუქი ავტოტრანსპორტის გაიაფება მოჰყვა, რამაც იგი გადაადგილების ყველაზე პოპულარულ სახეობად აქცია.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ტრანსპორტის განვითარებამ ხელი შეუწყო საერთაშორისო ტურიზმის განვითრებას, რამაც შესაძლებელი გახადა დედამიწის ყველაზე შორეული წერტილებიც, რომლის ფუძემდებლებად გვევლინებიან ძმები რაიტები.

6.3 <u>სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია;</u>

ტრანსპორტის ძირითადი სახეებია:

1. *სახმელეთო ტრანსპორტი*

- **ავტომობილი** - მოგზაურობას ხდის კომფორტულს და ნაკლებად დამოკიდებულს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე;

- **სპეციალური სამოგზაურო ავტობუსი** - ექსპრეს-ავტობუსი, სპეციალური ავტობუსი საპაკეტო მომსახურებით, საექსკურსიო ავტობუსი, ავტობუსი საქალაქო და ქალაქგარე მოგზაურობისათვის, რეგულარული ავტობუსი აეროპორტში ან სარკინიგზო სადგურში გადასაყვანად;
- **ველოსიპედი** - მოგზაურთა ერთ-ერთი სასურველი ფორმაა, რადგან არ საჭიროებს საწვავს და არ ახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე;
- **სარკინიგზო ტრანსპორტი** - ტურისტებისათვის ორი სახისაა: ტრანსპორტი, რომელიც გამოიყენება დასვენებისა და საქმიანი მოგზაურობისას და ტრანსპორტი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ დასვენების დროს;

2. **საწყალოსნო ტრანსპორტი** - საკრუიზო ტრანსპორტი; ბორანი; ტრანსპორტი შიდა წყლებში გადაადგილებისათვის;
3. **საჰაერო ტრანსპორტი** - სამოქალაქო ავიაცია იყოფა ორ კატეგორიად: სარეისო ავიახაზები და ჩარტერული ფრენები.

6.4 . <u>საჰაერო ტრანსპორტი;</u>

საჰაერო მოგზაურობა - პლანერიზმით გატაცებულმა ძმებმა რაიცებმა პლანერისთვის ძრავის მორგება განიზრახეს, თუმცა უკვე არსებული ძრავების სიმძიმის გამო იძულებული გახდნენ საკუთარი, უფრო მსუბუქი გამოეგონათ და 1903 წელს პირველი ცამეტ ცხენისძალიანი ძრავიც გამოსცადეს, რომელმაც პირველივე ცდაზე პატარა პლანერი ცაში თორმეტი წამით აიტანა და 120 ფუტის მანძილზე გადააფრინა. უკვე 1909 წელს პირველმა საჰაერო აპარატმა ინგლისის არხი (ლამანშის სრუტე) გადაკვეთა, 1919 წლიდან კი პარიზსა და ლონდონს შორის რეგულარული სამგზავრო რეისები სრულდებოდა.

ავიაციის ისტორიაში გადატრიალება 1927 წელს ჩარლზ ლინდნერგის ოცდარვასაათიანმა ტრანსატლანტიკურმა გადაფრენამ მოახდინა. საერთაშორისო საფრენი გზები და მომსახურებები კი ჩიკაგოს 1944 წლის საერთაშორისო კონფერენციაზე განსაზღვრეს. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ორმოცდაცხრა ქვეყნის სამოაცდაათი ავიაკომპანიის წარმომადგენლებმა შეთანხმებას ხელი მოაწერეს და საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციაც (IATA) დააარსეს.

მოგვიანებით, 1946 წელს ევროპისა და ამერიკის ავიახაზების წარმომადგენლები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ კომპრომისის მისაღწევად და სახელგანთქმული ბერმუდას შეთანხმება მიიღეს, რომელშიც „საჰაერო თავისუფლების ექვსი წესი“ ჩამოაყალიბეს:

- სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გადაფრენის უფლება;
- არაკომერციული მიზნებისთვის სხვა ქვეყნი ტერიტორიაზე დაშვების უფლება;
- გადამყვანის (გადამზიდველის) ქვეყნის მგზავრების გადმოსმისა და ტვირთის ჩამოტვირთვის უფლება უცხო ქვეყანაში;
- უცხო ქვეყანაში გადამყვანის (გადამზიდველის) ქვეყნისათვის განკუთვნილი მგზავრების ბორტზე აყვანისა და ტვირთის ჩატვირთვის უფლება;
- ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის უფლება;
- თვითმფრინავის უფლება მიიღოს გრაფიკი უცხო ქვეყნისაგან ავიახაზების ქვეყნისთვის და სხვა უცხო ქვეყნების გარეთ.

6.5. სახმელეთო ტრანსპორტი (ავტო-ტრანსპორტო, რკინიგზა);

საავტომობილო მგზავრობა - 1800-იან წლებში ორთქლის ძრავის გამოგონებას ავტომობილის შექმნაც მოყვა, როცა კარლ ბენცმა და გოტლიბ დაიმლერმა დღეს „მერსედეს ბენცის“ სახელით ცნობილი შიგა წვის ძრავების ინტერნაციონალური ფაბრიკა დაარსეს.

სანამ 1914 წელს ჰენრი ფორდი ყოველ 24 წამში ფორდ-T-ს ერთი მოდელის გამოშვებას დაიწყებდა, ბევრად უფრო ადრე, 1891 წლიდან დაიწყო ავტომობილების სერიული წარმოება. დღეისათვის მანქანის ასაწყობ ხაზზე ადამიანებზე მეტი რობოტი მუშაობს.

მარტო შეერთებულ შტატებში 150 მილიონი რეგისტრირებული ავტომობოლია, მეორე ადგილზე კი იაპონია გახლავთ 33 მილიონი რეგისტრირებული ავტომანქანით.

საავტომობოლიო ინდუსტრიისა და მოსახლეობის ფინანსური შესაძლებლობის ზრდამ ავტომობილის მფლობელთა რიცხვიც გაზარდა, რამაც თავისთავად გამოიწვია ტურიზმისა და მოგზაურობის მკვეთრი განვითარება. საავტომობილო გზების გასწვრივ მილიონობით

სასტუმრო, მოტელი და კვების ობიექტი აშენდა. ავტომობილმა მსოფლიო მასებისთვის ხელმისაწვდომი გახადა.

რკინიგზა - ისტორიულად აქტიურად მონაწილეობდა ტურისტული მოძრაობის განვითარებაში. მგზავრთა გადაყვანის სისტემაში მატარებლები იყოფიან სარეისო და არასარეისოდ. სარეისო მატარებლების კატეგორიებია: საგარეუბნო, სამგზავრო, ჩქარი და ჩქაროსნული. ხოლო არასარეისო მატარებლები ჩარტერული, სპეციალურად დანიშნული არა რეგულარული განრიგის შეკეთილი მატარებლებია.

6.6. საწყალოსნო ტრანსპორტი(სამდინარო და საზღვაო კრუიზი).

გემით მოგზაურობა (კრუიზი) წარმოადგენს ტურისტულ მოგზაურობას მდინარეზე ან ზღვაზე.

საზღვაო კრუიზები მსოფლიოში ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს, იზრდება საკრუიზო ფლოტი, სრულყოფას განიცდის სამგზავრო გემების კონსტრუქციები, იზრდება მათი კომფორტაბელურობა, მუშავდება ახალი საზღვაო და საოკეანო მარშრუტები.

საკრუიზო მოგზაურობის ორგანიზაციისათვის ყველაზე გავრცელებულად ითვლება კლასიკური ევროპული და ამერიკული სისტემა, რომელიც გულისხმობს საზღვაო მოგზაურობას სხვადასხვა პორტებში შესვლით და საექსკურსიო პროგრამით, ასევე კრუიზის მონაწილეთათვის დასვენებისა და გარუჯვის შეთავზება მარშრუტზე არსებული პუნქტების სანაპიროებზე.

სამდინარო კრუიზი - საკრუიზო პროგრამების შემსრულებელი თბომავლები ერთგემბანიანი და ორგემბანიანი სპეციალური ნაგებობებია. სამდინარო მარ-შრუტების უმეტესობა გადის ვიწრო არხების გავლით, დაბალი ხიდებისა და საგდულების ქვეშ. შესაბამისად, ასეთი გემების ტევადობა ძალიან მცირეა.

ევროპაში სამდინარო კრუიზებზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. განსა-კუთრებული ინტერესით სარგებლობს მოკლე ვადიანი კრუიზები (5 დღემდე).

არსებობს საექსკურსიო გასასერნებელი რეისები, რომელიც სრულდება არა უმეტეს 24 საათისა, ღირსშესანიშნავი ადგილების გაცნობის მიზნით.

სწავლის მეექვსე შედეგის დისკუსია

კოლეჯის აუდიტორიაში სტუდენტები გამართავენ დისკუსიას შემდეგ თემაზე:

- მოიყვანეთ ტრანსპორტის გარემოზე ზემოქმედების მაგალითები და იმსჯელეთ მის უარყოფით შედეგებზე
- **გაარჩიეთ ბიზნეს-სიტუაცია:** მენეჯერმა გთხოვათ საქმიან წრეებთან შეხვედრის დროს კრუიზის უპირატესობის შესახებ სიტყვით გამოსვლა, რაზე გაამახვილებდით ყურადღებას? - იმსჯელეთ

დისკუსიაში მონაწილე ორივე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა იყოს თანაბარი.
სასურველია მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის პირისპირ განლაგდნენ.

რჩევები მასწავლებელს დისკუსიის მეთოდის გამოყენების დროს:

- დისკუსიის წარმატებული წარმართვისათვის მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს სადისკუსიო თემა და იგი საინტერესო უნდა იყოს სტუდენტებისთვის;
- სადისკუსიოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლექციასა თუ სემინართან დაკავშირებული ნებისმიერი თემა, რომლის შესახებაც განსხვავებული აზრი არსებობს;
- სადისკუსიო თემასთან დაკავშირებით სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი ცოდნა;
- სადისკუსიო თემის დამუშავების მიზნით, სტუდენტებს წინასწარ შეიძლება მიეთითოთ შესაბამისი ლიტერატურა;
- მასწავლებელმა წინასწარ, თავისთვის მკაფიოდ უნდა განსაზღვროს დისკუსიის ფორმატი: პოლემიკაში მონაწილეთა საუბრის რეგლამენტირება, აზრის გამომთქმელთა თანმიმდევრობა, მთავარი და დამაზუსტებელი შეკითხვების განსაზღვრა და ასეთი შეკითხვების დასმის დრო და ტექნიკა;
- დისკუსიის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს მასწავლებლის როლი - პირველ დისკუსიაზე იგი უნდა იყოს როგორც მოდერატორი, ასევე ფასილიტატორი. არ უნდა გამოირიცხოს შემდგომში ამ როლის სტუდენტების მიერ მონაცვლეობით შესრულება;
- მასწავლებელმა არ უნდა გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება პოლემიკაში მონაწილე მხარეების მიმართ - იგი უნდა იყოს ნეიტრალური;
- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს დისკუსიაში ყველა სტუდენტის აქტიური მონაწილეობა, პასიური სტუდენტები შეიძლება წახალისდნენ მათზე ფოკუსირებული შეკითხვების დასმით;
- სადისკუსიო კითხვები უნდა იწყებოდეს ასეთი სიტყვებით: „რატომ?“ და „როგორ?“ - არ უნდა იწყებოდეს: „ვინ?“, „სად?“, „როდის?“
- სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ დასმულ შეკითხვაზე პასუხის მომზადების საშუალება;
- მნიშვნელოვანია სტუდენტებს გამოუმუშავდეთ დისკუსიის დროს საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გამოხატვის უნარი;

- მასწავლებელი ახდენს სტუდენტების განმავითარებელ შეფასებას დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ.

სასწავლო მასალის დემონსტრირების სქემა:

1.სასწავლო მასალის დემონსტრირება მოახდინეთ პროექტორის და მსოფლიოსა და საქართველოს ტურისტული რუკების საშუალებით
2. განათავსეთ საილუსტრაციო მასალა გამოსაჩენ ადგილზე აუდიტორიაში;
3. კომენტარი გაუკეთეთ თითოეულ რუკას;
4. გარკვეული დრო დაუთმეთ სტუდენტებს შორის აზრთა გაზიარებას;
5. უპასუხეთ სტუდენტების მიერ დასმულ კითხვებს.

დამოუკიდებელი სამუშაო

ისარგებლეთ ლიტერატურით და ინტერნეტ-საიტებით, მოიძიეთ ინფორმაცია **„ტრანსპორტის გავლენა გარემოს ეკოლოგიურ მდგრადობაზე“.**

ლიტერატურა:

1. მეტრეველი მ., „გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი“, თბ.,2012
2. მეტრეველი მ., „ტურიზმი და გარემოს დაცვა-ეკოტურიზმის საფუძვლები“, თბ., 2008

ვებ-გვერდები:

http://www.freycinet.com.au

http://www.iata.com

http://www.sunsmart.org.uk

http://www.unwto.org

კითხვები განმავითარებელი შეფასებისათვის

1. რამდენი მეთოდით რეგულირდება საჰაერო ტრანსპორტი და რომლებია ეს მეთოდები?
2. სპეციალურ ჩარტერულ ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებულ ჩამონათვალში რა არის მითითებული?
3. ტურისტულ მომსახურებაში გამოყენებული ავტომომსახურება რომელ ძირითად მიმართულებებს მოიცავს?
4. რა არის ტახოგრაფი?
5. რას წარმოადგენს კრუიზი?
6. რამდენია სამდინარო გასასეირნებელი რეისის ხანგრძლივობის დრო?
7. რომელ ძირითად საკრუიზო რეგიონებს გამოყოფენ მსოფლიოში?
8. რას ითვალისწინებს კომბინირებული გადაზიდვები?
9. რას ითვალისწინებს საჰაერო ტრანსპორტის სტრატეგიული ალიანსი?

პრაქტიკული მეცადინეობა - პროდუქტი/შედეგი

მასწავლებელი სტუდენტებს სემინარის გამართვამდე 1-2 დღით ადრე აცნობს სემინარის თემებს და გამოსაყენებელ ლიტერატურას.

მომზადდება პრეზენტაცია ქვემოთ მოყვანილ თემებზე. თითოეულ პრეზენტაციას დაეთმობა 12-15 წუთი, შეკითხვებისა და პასუხებისთვის განკუთვნილი იქნება 5 წუთი.

პრეზენტაცია

დავალება

სტუდენტთა მცირე ჯგუფები წარმოადგენენ პრეზენტაციას შემდეგი თემის მიხედვით:

- სატრანსპორტო საშუალებების სპეციფიკა ტურიზმში

გარემო *პროექტი სრულდება აუდიტორიაში, მასწავლებლის დაკვირვების ქვეშ. სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია პერსონალური კომპიუტერი, (შესრულების დრო 3 საათი)*

სწავლებისათვის საჭირო რესურსები, მასალები, ინსტრუმენტები

სასწავლო აუდიტორია, სადაც არსებობს ყველა ის მასალა და ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროა თეორიული კურსისა და პრაქტიკული სავარჯიშოების განსახორციელებლად.

რესურსები: საქართველოს, მსოფლიოს და ევროპის გეოგრაფიული, ადმინისტრაციული და პოლიტიკური რუკები; საქართველოს სხვადასხვა რეგიონების გზამკვლევები; თვალსაჩინოებები; საქართველოს ციხე-სიმაგრეების და კულტურული მემკვიდრეობის და საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკები.

მასალები: საკანცელარიო მასალები.

ინსტრუმენტები: კომპიუტერი, პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ფოტო-ვიდეო აპარატი.

ცოდნის შეფასება 6

მოდულის მეექვსე შედეგის შეფასება:

წარმოდგენილია მეექვსე შედეგების შეფასების ინსტრუმენტები.

ჯგუფი ემზადება მეექვსე შედეგის შეფასებისათვის და მასწავლებელმა უნდა შეახსენოს ჯგუფს მოდულის მეექვსე შედეგი თავისი შესრულების კრიტერიუმებით.

მტკიცებულებების შეგროვებას მასწავლებელი ახდენს სტუდენტების დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ. ასევე წერილობითი (ტესტების) და პრაქტიკული დავალების საშუალებით.

იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი ვერ ახერხებს შედეგის მიღწევის დადასტურებას, მასთან განსახორციელებელია დამატებითი აქტივობები, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მასწავლებლის კონსულტაციებისა და სტუდენტის მიერ დამატებითი დამოუკიდებელი სამუშაოს საშუალებით. მასწავლებელი საშუალებას აძლევს სტუდენტს გავიდეს ხელახლა შეფასებაზე. შესაძლოა აღნიშნული შედეგი მან დაადასტუროს მტკიცებულებების შეგროვების მეორე ეტაპზეც.

მეექვსე სწავლის შედეგისათვის

სწავლის შედეგის შემეცნებითი უნარების შეფასება ხდება აუდიტორიაში, წერითი (ტესტირება) გამოკითხვის მეთოდით

კითხვა	პასუხი	შეფასება	
		დამაკმაყოფილებელი	არადამაკმაყოფილებელი
ვის მიუძღვის დიდი როლი ტრანსპორტის განვითარების ისტორიაში - მოგზაურობის მსოფლიო ინდუსტრიად ჩამოყალიბებაში			
სატრანსპორტო სისტემის ელემენტებია:			
რას ითვალისწინებს კომბინირებული გადაზიდვები			
საჰაერო ტრანსპორტი რეგულირდება:			
ტრანსპორტის ზემოქმედება გარემოზე იწვევს:			
რას ითვალისწინებს სააგენტოს ხელშეკრულება ავიაკომპანისთან ჩარტერის შესახებ			
ევროპული კონფერენცია საავტობუსო ტურიზმის შემდეგ სახეებს გამოყოფს:			

ა	მოგზაურობა სარეისო, სპეციალური და მაქოსებრი ავტობუსებით
ბ	თვითმფრინავის სახეს და გასაყიდი ადგილების რაოდენობას
გ	მსოფლიოგლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს, კლიმატის ცვლილების ფონზე
დ	ნაციონალურ, საერთაშორისო და სამთავრობოთაშორისო რეგულირებით
ე	ტრანსპორტისრამდენიმე სახეობის გამოყენებას ტურის განმავლობაში
ვ	გზა, სატრანსპორტო საშუალება, ტერმინალები, კონტროლისა და საკომუნიკაციო სისტემა
ზ	თომასკუკი

სწავლის მეექვსე შედეგის შეფასება ხდება სასწავლო აუდიტორიაში, როგორც პროცესზე დაკვირვებით, (მასწავლებელი აკვირდება სტუდენტის მუშაობას სწავლის შედეგით განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში). შეფასება მოხდება მასწავლებლის მხრიდან დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი განსაზღვრებით, დადებითი შეფასების შემთხვევაში უნდა გასცეს სწორი პასუხი 6 შეკითხვას (მათ შორის საკვანძო შეკითხვებია 1, 3, 10). მასწავლებელი ასევე შეაფასებს პროდუქტი/შედეგს (პრეზენტაციას), ზემოთ მითითებული კრიტერიუმების საფუძველზე.

შეფასება მოხდება მასწავლებლის მხრიდან დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი განსაზღვრებით.

მასწავლებელი შეაფასებს პროდუქტი/შედეგს (პრეზენტაციას), ქვემოთ მითითებული კრიტერიუმების საფუძველზე.

პრეზენტაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით

მოდულის სახელწოდება	**ტურიზმის ინდუსტრია**	**კითხვებს გასცა პასუხი**	
სტუდენტის სახელი და გვარი			
შემფასებლის/დამკვირვებლის სახელი და გვარი			
შეფასების კრიტერიუმი		**კი**	**არა**
რეფერატის შინაარსობივი მხარე სრულყოფილია და პრეზენტაციისას აუდიტორიასთან კონტაქტი მაღალია.			
საკითხი ზუსტადაა დასმული და გადმოცემულია ამომწურავად.			
ჩატარებულია ღრმა ანალიზი და გაკეთებულია არგუმენტირებული დასკვნები.			
მაღალია რეფერატის ვიზუალური გაფორმება და სტუდენტი ამყარებს აუდიტორიასთან ურთიერთობას და ყველა კითხვაზე ავლენს საფუძვლიან ცოდნას.			
ვიზუალური მასალა წარმოდგენილია ხარვეზების გარეშე.			
მასალა გამდიდრებულია სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებიდან მოპოვებული მასალებით.			
პრეზენტაციის წარმოდგენისას იყენებს ვერბალურ და არავერბალურ საკომუნიკაციო საშუალებებს.			

სწავლის შედეგი 7

ტურიზმის სფეროში გართობის ინდუსტრიის საწარმოების, ანიმაციისა და საექსკურსიო მომსახურების როლის განსაზღვრა

ტურიზმი დასვენების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, ხოლო დასვენება ადამიანის ობიექტურად აუცილებელი მოთხოვნილება – შრომაში დახარჯული ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღდგენის პროცესი.

ტურისტული ატრაქციები – ტურიზმის არსს წარმოადგენენ. ისინი იზიდავენ ვიზიტორებს, დასაბამს აძლევენ ექსკურსიებს და თავის საკუთარ ინდუსტრიას ქმნიან.

სპორტული ღონისძიებები – ფეხბურთის მსოფლიო თასის გათამაშებები და ოლიმპიური თამაშები. ის მასპინძელი ქვეყნის რეკლამირების საშუალებას იძლევა და ახლოს მდებარე ატრაქციების განვითარების თანმხლების ეფექტი აქვს.

გართობისა და დასვენების ინდუსტრიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია თემატურ პარკებს. თემატური პარკის ძირითად ელემენტს წარმოადგენს მიმზიდველი და უსაფრთხო ატრაქციონი, რომელმაც სიამოვნება უნდა მიანიჭოს ადამიანებს. თემატური პარკი წარმოადგენს ერთიან შოუს, რომელთა დანიშნულებაა ვიზიტორთათვის ხალისიანი განწყობილების შექმნა.

ბუნების ტურისტულ ატრაქციად გვევლინება გამოქვაბულები და მღვიმეები. მსოფლიოში უდიდესია მამონტის მღვიმე ამერიკაში, კენკუტის შტატში, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ღრმა მღვიმეა. 1990 წლიდან მღვიმე მსოფლიოს ბიოსფერული რეზერვაციის სიაში შევიდა.

საქართველოში 1500-მდე მღვიმეა (მრავალი მათგანი შესწავლილია). კარსტული რელიეფი ძირითადად დასავლეთ საქართველოშია, აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება თრუსოს ხეობაში, მდ.ქსნის სათავეში, ასევე გომბორის ქედზე და ა.შ. საქართველოში ფართოდ გვხვდება კლასტოკრასტი. მისი გავრცელების უდიდესი რაიონების ცენტრალური სამეგრელო და აფხაზეთი. საქართველოს მღვიმეებიდან აღსანიშნავია ახალი ათონის, სათაფლიის და პრომეთეს მღვიმეები.

ანიმაცია - უკანასკნელ წლებში ტურიზმის სფეროში გაჩნდა ახალი მიმართულება ანიმაცია, რომელიც გულისხმობს ტურისტის მონაწილეობას თეატრალიზებულ შოუ-პროგრამებში, სპორტულ და კულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. დადგენილია, რომ ანიმაციური პროგრამების ჩართვა სასტუმრო მომსახურებაში მნიშვნელოვნად ამაღლებს სასტუმროს იმიჯს და მის კონკურენტუნარიანობას ტურისტული მომსახურების ბაზარზე.

<u>Event ღონისძიებები</u> - დასვენებისა და გართობის ინდუსტრიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია Event – ღონისძიებებს, რომელთა ქვეშ მოიაზრება ბუნებასთან, კულტურასთან, ეკონომიკასთან, საზოგადოებასა და პოლიტიკასთან დაკავშირებული მოვლენები და შემთხვევები, როგორიცაა ბუნებრივი მოვლენები, ფესტივალები კულტურის სფეროში, სპორტული შეჯიბრებები, გამოფენები და ბაზრობები, სამიტები, ეროვნული დღესასწაულები და ა.შ.

VII შედეგის შესრულების კრიტერიუმებია:

<u>მასწავლებლის მიმოხილვა:</u>

ლექციის მსვლელობისას მასწავლებელი განიხილავს გართობისა და დასვენების ინდუსტრიას ტურიზმში. აღნიშნავს, რომ ადამიანთა დასვენებისა და გართობის მასობრივი ფორმა დაკავშირებულია თემატური და ეროვნული პარკებისა და აზარტული თამაშების განვითარებასთნ.

დასვენება - გართობაა, რომელიც მიმართულია ფიზიკური ძალებისა და გონებრივი შესაძლებლობების აღდგენისაკენ. დასვენება მჭიდროდ არის დაკავშირებული სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის სხვა სახეებთან, როგორებიცაა: კვება, განთავსება და გადაყვანა. დასვენებისას ადამიანს სჭირდება გართობაც.

გართობის პროცესი ხორციელდება როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურად შექმნილ ვითარებაში. გართობის ინდუსტრიას მიეკუთვნება საწარმოები, რომელთა ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის გართობაზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ასეტი დაწესესბულებებია: ცირკები, ზოოპარკები, ატრაქციონები, სათამაშო სახლები, დასვენების პარკები, კინოთეატრები, სპორტული დარბაზები და ა.შ.

VII შედეგის შესაბამისი თემატიკა:

7.1. გართობის ინდუსტრიის ცნება

გართობის ინდუსტრიას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ტურიზმის ინდუსტრიაში. ტურისტების გართობის პროცესი ხორციელდება როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურად შექმნილ ვითარებაში. გართობის ინდუსტრიას მრავალწახნაგოვანი ამოცანების გადაწყვეტა შეუძლია, პირველ რიგში ესენია: აღზრდა, ოპტიმისტური განწყობის ფორმირება, განათლება, დასვენება, ადამიანის კულტურის განვითარება. გართობა თავისი არხით აყალიბებს პიროვნებას.

7.2. გართობის ინდუსტრიის საწარმოების დახასიათება

გართობის ინდუსტრიას მიეკუთვნება საწარმოები (ორგანიზაციები, დაწესებულებები), რომლის ძირითადი საქმიანობაც დაკავშირებულია ადამიანის გართობაზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ასეთებად ითვლება გართობის საქმიანობით

დაკავებული დაწესებულებები: ***ცირკები, ზოოპარკები, ატრაქციონები, სათამაშო სახლები, დასვენების პარკები*** და ა.შ. გართობის უზრუნველყოფას ახდენენ აგრეთვე სხვადასხვაგვარი დაწესებულებები, როგორებიცაა: სტაციონარული მოძრავი თეატრები, კინოთეატრები, საკონცერტო ორგანიზაციები და კოლექტივები (ორკესტრები, ანსამბლები, მიუზიკ-ჰოლები და სხვ.). გართობა დამახასიათებელია ფიზიკური კულტურის მეცადინეობებისთვისაც (ხელოვნურ წყლის აუზებში, სპორტულ დარბაზებში, კლუბებში და სხვ.), ასევე სპორტულ-სანახაობითი ღონისძიებებისთვის. კულტურულ ფასეულობებთან (ბიბლიოთეკებში, მუზეუმები, გამოფენებზე) ურთიერთობაც დაკავშირებულია გართობასთან.

7.3. ანიმაციის ცნება, ფუნქციები და მნიშვნელობა

ანიმაცია ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს გამხნევებას, აღფრთოვანებას. ეს არის ცხოვრების ხალისის დაბრუნება, სასიცოცხლო ძალების აღდგენა; ჩართულობა აქტიურ ცხოვრებაში.

ანიმატორი ეა არის უნიკალური ადამიანი, რომელსაც შესწევს უნარი მიიპყროდ ყურადღება, გააღვიძოს ინტერესი ადამიანებში და არა უბრალოდ მასხარა, ფერად ტანსაცმელში ან ღონისძიებების მონაწილე.ანიმაციას გააჩნია შემდეგი ფუნქციები:

- სპორტული ანიმაცია;
- რეკრეაციული ანიმაცია;
- სასტუმრო ანიმაცია.

ტურისტული ატრაქციები

ტურისტული ატრაქციები – ტურიზმის არსს წარმოადგენენ. ისინი იზიდავენ ვიზიტორებს, დასაბამს აძლევენ ექსკურსიებს და თავის საკუთარ ინდუსტრიას ქმნიან. ყველაზე მარტივი მიდგომით რაიონში ატრაქციების გამოსავლენად უნდა შემუშავდეს ატრაქციების ნუსხა. განისაზღვროს

რაოდენობა, მოხდეს მათი რანჟირება და შედეგების რუკაზე დატანა. ჯონ სვარბრუკმა ატრაქციები ოთხ ძირითად კატეგორიად დააჯგუფა:

ბუნებრივი – მოიცავენ სანაპიროებს მღვიმეებს, მომხიბლავ ადგილებს და ველურ ბუნებას.

ადამიანის ხელით შექმნილი – ისტორიული ციხე სიმაგრეები და ტაძრები; მუზეუმები, ხელოვნების გალერეები, საგამოფენო ცენტრები, სამორინეები, თემატური პარკები და აკვაპარკები.

სპორტული ღონისძიებები – ფეხბურთის მსოფლიო თასის გათამაშებები და ოლიმპიური თამაშები. ის მასპინძელი ქვეყნის რეკლამირების საშუალებას იძლევა და ახლოს მდებარე ატრაქციების განვითარების თანმხლების ეფექტი აქვს. ისინი ამავდროულად მოითხოვენ მნიშვნელოვან ინვესტიციებს, დაგეგმვას და ჯანმრთელობის, უსაფრთხოების უზრუნველყოფას როგორც ვიზიტორების, ისე მონაწილეთათვის. ღონისძიებათა სხვა ატრაქციები მოიცავენ ბაზრობებს, ფესტივალებს, ცერემონიებს, ფოლკლორულ ღირსშესანიშნაობებს, საზეიმო და რელიგიურ პროცესიებს.

სრულიად ნათელია, რომ ტურიზმის განსხვავებული სახეობები ატრაქციების სხვადასხვა ფორმებს ეფუძნება. მაგალითად, ახალგაზრდა ტურისტს უფრო მიიზიდავს თემატური პარკები, სადაც ხაზგასმულია ამაღელვებელი გასეირნებები და გართობა, ვიდრე მემკვიდრეობის ატრაქცია. როგორიცაა "მემამულის ძველებური სახლი ან ციხე-სიმაგრე", მუზეუმი ან ტაძარი. საქმიან ტურისტებს ასევე განსხვავებული მოთხოვნები ექნებათ. ისინი მიისწრაფიან ძირითადი კომერციული ცენტრებისაკენ, რომლებიც ადვილად მისადგომია და კონფერენციებისა და გამოფენების მოსაწყობად საჭირო შესაძლობებს სთავაზობენ ისევე, როგორც დამატებით ატრაქციებსა და მომსახურებებს.

7.4. ექსკურსიის ცნება, კლასიფიკაცია; საექსკურსიო მომსახურების საქმაინობა

ექსკურსიები მნიშვნელოვანი მიმართულებაა ტურისტულ საქმიანობაში. სიტყვა „ექსკურსია" ლათინური წარმოშობისაა და გასვლას, გასეირნებას, რომელიმე კონკრეტული ადგილის დათვალიერებას ნიშნავს.

ექსკურსიების კლასიფიკაცია:

- *შემეცნებითი (კულტურული მემკვიდროება, მომლოცველობითი, თემატური) ექსკურსიები;*
- *შემეცნებითი- საგანმანათლებლო (სასკოლო, მოსწავლე-ახალგაზრდოებისათვის, სტუდენტური, სპეციალიზირებული- საწარმოო, დარგთაშორისი-პროფესიონალური) ექსკურსიები;*
- *რეკრეაციულ- დასასვენებელი (საკურორტო, აქტიური, პასიური);*
- *გასართობი (ატრაქციები, სპორტი, აზარტული თამაშები);*
- *სათავგადასავლო (რაფტინგი სკეიტინგი, ჯამფინგი, ალპინიზმი, სპელეო);*
- *სალაშქრო.*

საექსკურსიო მომსახურეობა და საქმიანობა:

- *საექსკურსიო სააგენტო;*
- *საექსკურსიო მარშრუტი (კრეკი), ობიექტების განლაგება;*
- *მარშრუტზე დროის დაზუსტება-ქრონომეტრაჟი;*
- *გიდი-ექსკურსიამძღოლი;*
- *სამთო გიდი-ინსტრუქტორი;*
- *სატრანსპორტო მომსახურება;*
- *საექსკურსიო აღჭურვილობა;*
- *გართობა-ანიმაციის ორგანიზება;*
- *ღვინის დეგუსტაცია;*
- *უსაფრთხოების დაცვა მარშრუტზე;*
- *კვების ორგანიზება ველად.*

მეშვიდე შედეგის დისკუსია:

კოლეჯის აუდიტორიაში სტუდენტები გამართავენ დისკუსიას შემდეგ თემაზე:

- იმსჯელეთ საქართველოს საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობების შესახებ

დისკუსიაში მონაწილე ორივე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა უნდა იყოს თანაბარი.

სასურველია მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის პირისპირ განლაგდნენ.

რჩევები მასწავლებელს დისკუსიის მეთოდის გამოყენების დროს:

- დისკუსიის წარმატებული წარმართვისათვის მასწავლებელმა სწორად უნდა შეარჩიოს სადისკუსიო თემა და იგი საინტერესო უნდა იყოს სტუდენტებისთვის;
- სადისკუსიოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ლექციასა თუ სემინართან დაკავშირებული ნებისმიერი თემა, რომლის შესახებაც განსხვავებული აზრი არსებობს;
- სადისკუსიო თემასთან დაკავშირებით სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი ცოდნა;
- სადისკუსიო თემის დამუშავების მიზნით, სტუდენტებს წინასწარ შეიძლება მიეთითოთ შესაბამისი ლიტერატურა;
- მასწავლებელმა წინასწარ, თავისთვის მკაფიოდ უნდა განსაზღვროს დისკუსიის ფორმატი: პოლემიკაში მონაწილეთა საუბრის რეგლამენტირება, აზრის გამომთქმელთა თანმიმდევრობა, მთავარი და დამაზუსტებელი შეკითხვების განსაზღვრა და ასეთი შეკითხვების დასმის დრო და ტექნიკა;
- დისკუსიის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს მასწავლებლის როლი - პირველ დისკუსიაზე იგი უნდა იყოს როგორც მოდერატორი, ასევე ფასილიტატორი. არ უნდა გამოირიცხოს შემდგომში ამ როლის სტუდენტების მიერ მონაცვლეობით შესრულება;
- მასწავლებელმა არ უნდა გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება პოლემიკაში მონაწილე მხარეების მიმართ - იგი უნდა იყოს ნეიტრალური;
- მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს დისკუსიაში ყველა სტუდენტის აქტიური მონაწილეობა, პასიური სტუდენტები შეიძლება წახალისდნენ მათზე ფოკუსირებული შეკითხვების დასმით;
- სადისკუსიო კითხვები უნდა იწყებოდეს ასეთი სიტყვებით: „რატომ?“ და „როგორ?“ - არ უნდა იწყებოდეს: „ვინ?“, „სად?“, „როდის?“;
- სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ დასმულ შეკითხვაზე პასუხის მომზადების საშუალება;
- მნიშვნელოვანია სტუდენტებს გამოუმუშავდეთ დისკუსიის დროს საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გამოხატვის უნარი;
- მასწავლებელი ახდენს სტუდენტების განმავითარებელ შეფასებას დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ.

სასწავლო მასალის დემონსტრირების სქემა:

1. სასწავლო მასალის დემონსტრირება მოახდინეთ პროექტორის და მსოფლიოსა და საქართველოს ტურისტული რუკების საშუალებით;
2. განათავსეთ საილუსტრაციო მასალა გამოსაჩენ ადგილზე აუდიტორიაში;
3. კომენტარი გაუკეთეთ თითოეულ რუკას;
4. გარკვეული დრო დაუთმეთ სტუდენტებს შორის აზრთა გაზიარებას;
5. უპასუხეთ სტუდენტების მიერ დასმულ კითხვებს.

დამოუკიდებელი სამუშო

ისარგებლეთ შესაბამისი ლიტერატურით და ინტერნეტსაიტებით, მოიძიეთ ინფორმაცია: თბილისი - მცხეთის საექსკურსიო მარშრუტის ღირსშესანიშნაობების შესახებ

ლიტერატურა:

1. ბულია მ., ჯანჯღავა მ., „მცხეთა“ თბ., 2006

2. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“, თბ.,2010

ვებ-გვერდები:

www.culture.gov.ge

http//heritagesites.ge

კითხვები განმავითარებელი შეფასებისათვის

1. რამ განაპირობა გართობის სისტემების ფორმირება ძველ მსოფლიოში? როგორია ამ მოვლენის წინაპირობები?
2. რა ფაქტორებმა განაპირობა დასვენების სისტემების ფორმების განვითარება თანამედროვე ეპოქაში?
3. ჩამოთვალეთ თანამედროვე ანიმაციის ფორმები
4. როგორია ანიმაციის როლი სამკურნალო - გამაჯანსაღებელ ტურიზმში
5. ჩამოაყალიბეთ ანიმაციური საქმიანობის ტექნოლოგიები
6. რა არის ატრაქცია?
7. რა არის შოუ-მუზეუმები?
8. რა არის ეროვნული და თემატური პარკები?
9. დაასახელეთ საქართველოში არსებული ეროვნული პარკები

სასწავლო გასვლითი ექსკურსია 1 (4 სთ): სთ)

თბილისი - მცხეთა: სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარი, ბაგინეთი, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. მასწავლებელი საველე პირობებში ატარებს ლექციას პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირებით და ამახვილებს ყურადღებას შემდეგ საკითხებზე:

- ექსკურსიის მიზანი;
- მიმოხილვეთი ექსკურსია გზაში, საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდება;
- ობიექტის ამორჩევა, მისი ღირებულება;

- ჯგუფის განლაგება, ჩვენების ხერხები, დანახვება, დაკვირვება, წარმოსახვითი აღქმა;
- წინასწარ მომზადებული, შინაარსიანი, მიმზიდველი, ტექსტის მოყოლა დამაჯერებლად;
- ვიზუალური ეფექტის გამოყენება, აღწერა, ემოციური შეგრძნება, კულმინაციური მომენტი;
- ექსკურსიის ჩატარებისათვის სატრანსპორტო საშუალების შერჩევა მარშრუტის, ლანდშაფტის გათვალისწინებით;
- ისტორიული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლების თანმიმდევრობა მარშრუტზე;
- ღვინის სადეგუსტაციო და სხვა გასართობი (ეროვნული პარკები, მუზეუმები. სხვადასხვა ატრქციები) საშუალებების განლაგება მარშრუტზე;
- ქრონომეტრაჟის სიზუსტე, უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სწავლებისათვის საჭირო რესურსები, მასალები, ინსტრუმენტები

სასწავლო აუდიტორია და საველე პირობები, სადაც არსებობს ყველა ის მასალა და ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროა თეორიული კურსისა და პრაქტიკული დავალებების განსახორციელებლად.

ასევე ტურის განსახორციელებლად დანიშნულების ადგილის საველე პირობები, რომელიც უზრუნველყოფილია ტურისტული რესურსებითა და ინფრასტრუქტურით.

რესურსები: საქართველოს, მსოფლიოს და ევროპის გეოგრაფიული, ადმინისტრაციული და პოლიტიკური რუკები; საქართველოს სხვადასხვა რეგიონების გზამკვლევები; თვალსაჩინოებები; საქართველოს ციხე-სიმაგრეების და კულტურული მემკვიდრეობის რუკები; საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა.

მასალები: საკანცელარიო მასალები.

ინსტრუმენტები: კომპიუტერი, პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ფოტო-ვიდეო აპარატი; კომპასი, ნაბიჯმზომი, ტრანსპორტი (მიკროავტობუსი), კვებისათვის საჭირო აღჭურვილობა.

ინტერნეტ რესურსი: [http://www.le.ac.uk/lahs/downloads/CookSmPagesfromvolumeXLIX-3.pdf Article about Thomas Cook]

ცოდნის შეფასება 7

მოდულის მეშვიდე შედეგის შეფასება:

წარმოდგენილია მეშვიდე შედეგების შეფასების ინსტრუმენტები.

ჯგუფი ემზადება პირველი შედეგის შეფასებისათვის და მასწავლებელმა უნდა შეახსენოს ჯგუფს მოდულის მეშვიდე შედეგი თავისი შესრულების კრიტერიუმებით.

მტკიცებულებების შეგროვებას მასწავლებელი ახდენს სტუდენტების დისკუსიის დროს მათი მომზადების დონის, აქტივობის, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე. დამატებით შეიძლება შეფასდეს სტუდენტის ჯგუფში მუშაობის უნარი, დროის მენეჯმენტი და ა.შ. ასევე წერილობითი (ტესტების) საშუალებით.

იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი ვერ ახერხებს შედეგის მიღწევის დადასტურებას, მასთან განსახორციელებელია დამატებითი აქტივობები, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას მასწავლებლის კონსულტაციებისა და სტუდენტის მიერ დამატებითი დამოუკიდებელი სამუშაოს საშუალებით. მასაწავლებელი საშუალებას აძლევს სტუდენტს გავიდეს ხელახლა შეფასებაზე.

მეშვიდე სწავლის შედეგისათვის

სწავლის შედეგის შემეცნებითი უნარების შეფასება ხდება აუდიტორიაში, წერითი (ტესტების) გამოკითხვის მეთოდით.

დანართი 7.

კითხვა	*პასუხი*	
	დამაკმაყოფილებელი	**არადამაკმაყოფილებელი**
რას უწყობს ხელს ტურისტული ატრაქცია ➢ ტურისტთა ჯანმრთელობის დაცვას ➢ დანიშნულების ადგილის „რეალიზებას“		
გართობის ინდუსტრიის საწარმოების კლასიფიკაციებია: ➢ არქიტექტურული და მონუმენტური ძეგლები, თემატური და ეროვნული პარკები, სავაჭრო ცენტრები... ➢ განთავსების, კვების და სადაზღვევო ორგანიზაციები		
ტურიზმში ანიმაციის თანამედროვე ფორმებია: ➢ სპორტული, საექსკურსიო, რეკრეაციული, გასართობი, სიტუაციური ➢ კულტურული და ისტორიული რესურსები		
რას აღნიშნავს სიტყვა ანიმაცია ➢ გართობას და დროის გატარებას ➢ ტურისტულ სანახაობებს და გასართობ ობიექტებს		

რას წარმოადგენს საერთაშორისო ტურისტული ბირჟები ➢ ეს არის საგამოფენო ღონისძიებები, რომელზედაც ტარდება აქტიური მუშაობა კონტრაქტების დასამყარებლად მომსახურების მომწოდებლებსა და ტურისტულ კომპანიებს შორის ➢ ეს არის სპეციალური ტურისტული ღონისძიება, რომლის ძირითადი მიზანია საზოგადოების განათლება დემონსტრაციული საშუალებებით		
თემატურ პარკებს მიეკუთვნება: ➢ ქვეყნის ეროვნული პარკები ➢ ოკეანერიუმი, დელფინარიუმი, ზოოპარკი და სხვ.		
რა არის ექსკურსია ➢ ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება, გამგზავრება შემეცნებითი, სპორტული ან დასვენების მიზნით ➢ ორგანიზებული ჯგუფების მოგზაურობა განსაზღვრულ მარშრუტზე გადაადგილების აქტიური ფორმების გამოყენებით, რომლის მსვლელობის დროსაც შესაძლებელია ბუნებრივი წინაღობების გადალახვა.		
გამოფენა-ბაზრობებზე შემდეგი ტიპის სტენდები არსებობენ: ➢ წრფივი, კუთხური, ნახევარკუნძული, კუნძული, „ვიზავი“ ➢ წრფივი, ოთხკუთხედი, სამკუთხედი და წრიული		

ტურისტული ბაზრობების და გამოფენების მნახველთა ძირითადი ტიპებია: ➢ სანგვინიკი, ქოლერიკი, მელანქოლიკი, ფლეგმატიკი ➢ რაციონალისტები, კონსერვატორები, ნოვატორები, ნერვიულები, მოხეტიალეები, თავნებები		
ექსკურსიის ფუნქციებია: ➢ პროპაგანდისტული, საინფორმაციო, ადამიანთა ინტერესების ფორმირების, შემეცნების და პედაგოგიური ➢ მატერიალური, სოციალური, ინტელექტუალური		
რა არის ექსკურსიაში „სხეულის ენა“ ➢ მეტყველება, ინტონაცია, ხმის ტემბრი ➢ პოზა, ჟესტი, მიმიკა		
რა არის ექსკურსიის ტექნოლოგიური რუკა ➢ ტურის კალკულაციის დოკუმენტი ➢ საექსკურსიო მეთოდებისა და მეთოდოლოგიის ნაკრები		

სწავლის მეშვიდე შედეგის შეფასება ხდება სასწავლო აუდიტორიაში, როგორც პროცესზე დაკვირვებით, (მასწავლებელი აკვირდება სტუდენტის მუშაობას სწავლის შედეგით განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესში).

შეფასება მოხდება მასწავლებლის მხრიდან დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი განსაზღვრებით, დადებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გასცეს სწორი პასუხი 6 შეკითხვას (მათ შორის საკვანძო შეკითხვებია 1, 2, 7, 10).

ექსკურსიის სწავლის შედეგის შეფასება

ექსკურსიის სწავლის შედეგის შეფასება ხდება საველე პირობებში სტუდენტის მიერ ექსკურსიის ჩატარების მსვლელობისას ტურის ჩატრების პროცესში

კითხვა	*პასუხი*	
	დამაკმაყოფილებელი	**არადამაკმაყოფილებელი**
საექსკურსიო მასალის დამუშავება (Mind mapping), ინფორმაციის შეჯამება და იდეების ჩამოყალიბება, საექსკურსიო ტექსტის მომზადება		
საჩვენებელ ობიექტზე ექსკურსიის ჩატარების მეთოდიკა: საექსკურსიო ობიექტების ეფექტური ჩვენება არავერბალური მეთოდების გამოყენებით		
თხრობის ხერხები და მეტყველება-ვერბალური კომუნიკაცია; დროის მენეჯმენტის გამოყენება		
ერთდღიანი ტურის ჩატარების ხარჯთაღრიცხვის გამოთვლა (ტრანსპორტის, კვების, გიდის, საექსკურსიო-სამუზეუმო) ხარჯების გათვალისწინებით		
ტურის მსვლელობისას ქრონომეტრაჟისა და პაუზის გამოყენება		
ანალიზი ექსკურსიაში		

სწავლის მეშვიდე შედეგის შეფასება ხდება საველე პირობებში გასვლითი სასწავლო ექსკურსიის მსვლეობისას, როგორც პროცესზე დაკვირვებით, (მასწავლებელი აკვირდება სტუდენტის მუშაობას თუ როგორ შეძლო სტუდენტმა სწავლის შედეგით განსაზღვრული

ამოცანების შესრულება საწარმოო პროცესში - ექსკურსიის არსი, დანიშნულება, მისი მომზადება და ჩატარების ტექნოლოგია, ასევე ტურის სხვა კომპონენტების:ქრონომეტრჟის და პაუზის გათვალისწინება ; სატრანსპორტო და კვების ხარჯების გაანგარიშება. დადებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა გასცეს სწორი პასუხი 3 შეკითხვას (მათ შორის საკვანძო შეკითხვებია 1, 2, 3).

<u>კომენტარი:</u> სწავლის შედეგი 7 - ის განსახორციელებლად მოცემულია თეორიული მეცადინეობისათვის 5 სთ, ხოლო შეფასების განსახორციელებლად საკონტაქტო 2სთ, სასურველია პროდუქტი/შედეგი - სასწავლო ექსკურსია განხორციელდეს 3 სთ. (საკონტაქტო) და 1 სთ (შეფასების) ხარჯზე.

დანართი 8.

სწავლების მეთოდები სხვადასხვა ტიპის უნარების განვითარებისათვის

	სწავლების მეთოდი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის	**ფსიქომოტორული უნარები**	**ტრანსფერული უნარები**	**კოგნიტური უნარები**
1.	ლექცია		X	X
2.	დისკუსია/დებატი		X	X
3.	დამოუკიდებელი სამუშაოს ანალიზი	X	X	X
4.	პროფესიული განხილვები		X	X
5.	პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება (PBL)		X	X

6.	ტექნიკური უნარის დემონსტრირება			
7.	კეთება ინსტრუქტაჟით			
8.	კონსულტაცია	X	X	X
9.	პრაქტიკული სავარჯიშო	X		
10.	სასწავლო ექსკურსია		X	X
11.	ურთიერთსწავლება			
12.	როლური თამაში			
13.	გონებრივი იერიში		X	X
14.	სასწავლო პროექტი	X	X	X
15.	ცდა/ ექსპერიმენტი			
16.	სიმულაცია	X	X	
17.	პრეზენტაცია		X	X
18.	სასწავლო მასალების დემონსტრირება	X	X	X
	გააზრებული კითხვის მეთოდები			X
	შემთხვევის ანალიზი (Case Study)		X	X

დანართი 9.

სასწავლო მასალის ტიპები

	ვიზუალური სასწავლო მასალა	კინესტეტიკური სასწავლო მასალა	აუდიოვიზუალური სასწავლო მასალა	აუდიო სასწავლო მასალა
1.	წიგნები	დისკუსია/დებატები	ვიდეოები/DVD დისკები	

2.	დამხმარე მასალები (ჰენდაუთები)	თამაშები	დემონსტრაციები	
3.	ფრაგმენტები	სიმულაციები		ადამიანები
4.	ამონაბეჭდები	შესასწავლი ნიმუშები		
5.	პოსტერები			
6.	დიაგრამები			
7.	მულტფილმები			
8.	კროსვორდები			
9.	Power Point – ის პრეზენტაციები		ვიდეოები/DVD დისკები	კომპიტერული ტექნიკა
10.	სიტყვების გამოსაცნობი თამაშები			
11.	ფოტოები		ღირსშესანიშნაობების ილუსტრაციები	
12.	კალმის დაფები			
13.	ფლიპჩარტები			
14.	მოდელები			
15.	ბლოკსქემები			
16.	რუკები			
17.	კედლის სქემები			
18.	და ა.შ.			

რეკომენდებული ლიტერატურა:

1. დოლიკაშვილი ლ., მაზანიშვილი მ., ჯაშიაშვილი ნ. ,,ტურიზმის საფუძვლები'' (თეორია, ტესტები და პრაქტიკული დავალებები) (გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი – 2013 წ.).
2. მეტრეველი მ., ,,ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები'', (თბილისი - 2008 წ.).
3. მეტრეველი მ., ,,გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი'', თბ., 2012.
4. მეტრეველი მ., ,,ტურიზმი და გარემოს დაცვა-ეკოტურიზმის საფუძვლები'', თბ., 2008.
5. ილინა ე., ,,ტუროპერეიტინგი'' I ნაწილი (თარგმანი) თბ.,2008.
6. ჩარლზ რ., გერდნერი., ბრენტ რიტჩი ჯ.რ., ,,ტურიზმი - საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია'', ბათუმი 2013.
7. კვარაცხელია ნ., ,,კულტურული ტურიზმი'', თბ., 2008.
8. აბულაძე კ., ,,სასტუმრო ინდუსტრია და ტექნოლოგიები'', თბ., 2008.
9. კოჭლამაზაშვილი ლ., კოჭლამაზაშვილი ლ., ყანდაშვილი თ., ,,ტურიზმი და ტრანსპორტის ინდუსტრია'', თბ., 2008.

საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა:

საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით

სწავლის შედეგები	*თეორიული მეცადინეობა (საკონტაქტო)*	*პრაქტიკული მეცადინეობა (საკონტაქტო)*	*დამოუკიდებელი სამუშაოები*	*შეფასება*	*სულ*
სწავლის შედეგი 1	*8*		*8*	*3*	*19*
სწავლის შედეგი 2	*8*		*5*	*3*	*16*
სწავლის შედეგი 3	*8*	*3*	*5*	*3*	*16*
სწავლის შედეგი 4	*9*	*3*	*3*	*3*	*18*
სწავლის შედეგი 5	*5*		*2*	*2*	*9*
სწავლის შედეგი 6	*5*		*2*	*2*	*9*
სწავლის შედეგი 7	*5*		*3*	*2*	*9*

გისურვებთ წარმატებებს